ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა: ქართული ლიტერატურა

ხიჯაკაძე ლიკა

ისტორიული სინამდვილე და მხატვრული გამონაგონი გრიგოლ აბაშიძის რომანებში

ნაშრომი შესრულებულია ქართული ლიტერატურის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: რუსუდან ნიშნიანიძე
ფილოლოგიის დოქტორი,
თსუ ასოცირებული პროფესორი

თბილისი
2019

ანოტაცია

გრიგოლ აბაშიძეს მე-20 საუკუნის ქართველ მწერალთა შორის საპატიო ადგილი უჭირავს, რაცმისი მრავალფეროვანი და ღრმაშინაარსიანი შემოქმედების დამსახურებაა. განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის მას ქართული ისტორიული რომანის განვითარებაში. „ლაშარელა“, „დიდი ღამე“ , „ცოტნე, ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება“- ამ ნაწარმოებების წერისას ავტორი ეყრდნობა ქართველ მემატიანეთა ნაშრომებს, როგორებიცაა: ჟამთააღმწერელი და ლაშა- გიორგის დროინდელი მემატიანე. მისი კრედოა გაჰყვეს ძველ მატიანეთა სტრიქონებს და ფანტაზია ისტორიული რეალიების ირგვლივ ატრიალოს.იგი ღრმადაა ჩახედული საქართველოს ისტორიაში და ცდილობს თანადროულობასავით განიცადოს იგი.

ისტორიული რომანის წერისას საყურადღებოა ის, თუ რამდენადაა დაცული ზღვარი ისტორიულ სინამდვილესა და მხატვრულ გამონაგონს შორის. ჩვენი კვლევის მიზანიც სწორედ ის გახლავთ, რომ აჩვენოს, რა დოზით იყენებს ავტორი ისტორიას, როგორ აღწერს ეპოქას, გმირებს, სამეფო კარს, მიმართავს თუ არა მხატვრულ გადასხვაფერებასა და გამონაგონს. გრიგოლ აბაშიძე სამივე რომანში იცავს ზღვარს. იგი არ ეშვება არც ისტორიის პერიპეტიებში და არც მხატვრული გამონაგონისა და ფანტაზიის სფეროში იჭრება. მისი რომანების კითხვისას იგრძნობა ის ჭიდილი, რომელიც მეცნიერ-ისტორიკოსსა და მწერალს შორის მიმდინარეობს. საკითხი საინტერესოა იმ კუთხით, რომ იგი ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში დასმულია, მაგრამ სიღრმისეულად არ არის შესწავლილი. მრავალი დეტალი ყურადღების მიღმაა დატოვებული. სწორედ ამიტომ, შევეცადე, ყველა იმ დეტალისათვის მიმექცია ყურადღება, რომელიც შემდგომ საკითხის კვლევის პროცესში დამეხმარებოდა.

„ქართლის ცხოვრების“, კონკრეტულად კი ჟამთააღმწერელსა და ლაშა-გიორგისდროინდელი მემატიანეზე დაყრდნობითშეძლებისდაგვარად შევისწავლე ზემოთ ხსენებული საკითხი.

სარჩევი

შესავალი..... 4

თავი I

გრიგოლ აბაშიძის რომანი „ლაშარელა“ 7

თავი II

გრიგოლ აბაშიძის რომანი„დიდი ღამე“..... 24

თავი III

გრიგოლ აბაშიძის რომანი „ცოტნე, ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება“ 34

დასკვნა..... 41

გამოყენებული ლიტერატურა: 44

შესავალი

ისტორია ერთგვარი ასპარეზია წარსულიდან გადმოსული გმირებისთვის, რომლებიც მრავალი თაობის წინაშე წარმოაჩენენ თავიანთ ცხოვრებას, თუმცა ეს წარმოდგენა შეზღუდულია გარკვეული ჩარჩოებით, რაფინირებულია და მრავალი დეტალი ფარდის მიღმა რჩება. ისტორიული ქრონიკების ავტორები, ძირითადად, ყურადღებას ამახვილებენ მშრალ ფაქტებზე. ისინი ისტორიულ გმირებს და მათ ცხოვრებას იმდენად ეხებიან, რამდენადაც ეს საჭიროა ამა თუ იმ მოვლენის, ფაქტის კონტექსტში. მათი ადამიანური მხარე, რომელიც ძალიან საინტერესოა, ხშირად მიჩქმალულია. არადა, ისინი ხომ ჩვეულებრივი ადამიანები არიან თავიანთი დადებითი და უარყოფითი მხარეებით. მათაც უხარიათ და სწუხან, უყვართ და სძულთ. ამიტომ ისტორიული ქრონიკების ავტორები ამ მხარის დაფარვით ერთგვარ სიცარიელეს ტოვებენ. სწორედ ამ სიცარიელის ამოვსებისკენ ისწრაფვიან მწერლები, რომლებიც ისტორიულ რომანებს ქმნიან. შესაძლოა, ისინი გამონაგონსაც არ ერიდებიან, მაგრამ ხშირად ამ გამონაგონს საზოგადოება იმდენად გაითავისებს ხოლმე, რომ ეჭვიც კი არ ეპარება მის ნამდვილობაში, სახელმწიფოს მეთაურები, მხედართმთავრები, ქვეყნისთვის თავდადებული გმირები ხშირად არარეალურ, ზებუნებრივ არსებებად წარმოგვიდგენია ხოლმე. ვერ ვუშვებთ იმას, რომ ისინიც ჩვენნაირი ადამიანები იყვნენ, ამის დანახვაში ჩვენ დიდების შარავანდედი გვიშლის ხელს, რომელსაც მოუცავს ეს პიროვნებანი. ისტორიული რომანის ავტორთა დამსახურება სწორედ ის არის, რომ ამ შარავანდედს ფრთხილად, მოწიწებით გადასწევენ და პატარა სარკმელს ტოვებენ, საიდანაც ჩვენ, მკითხველებს შეგვიძლია სულ სხვა თვალით დავინახოთ მათი ყოფა. მწერალი არ ერიდება ამ გმირთა ინტიმური ცხოვრების, მათ ცნობიერში მიმდინარე დაპირისპირებათა ჩვენებას, გადმოგვცემს ამ გმირთა სისხლსავსე ვნებებს. თავდაპირველად, ეს ყველაფერი გვეხამუშება, ვცდილობთ, „თვალი მოვარიდოთ“ მწერლის მიერ ჩვენთვის გაკეთებულ სარკმელს, მაგრამ ამას ვერ ვახერხებთ, აზარტული თამაშივით გვითრევს და ბუნებრივი მონაწილე ვხდებით მათი ცხოვრებისა, ხან ვეკამათებით, ხან კი თანავუგრძნობთ.

საქართველოში ისტორიულმა რომანმა, როგორც ლიტერატურის ჟანრმა, განვითარების გზაზე ფეხი XX საუკუნის დასაწყისში შედგა. ეს მოვლენა ცნობილი

ქართველი მწერლის, ვასილ ბარნოვის დამსახურებაა. მისი პირველი ისტორიული რომანი 1913 წელს გამოქვეყნდა სათაურით „მიმქრალი შარავანდედი“, ხუთი წლის შემდეგ ქართულ ისტორიულ რომანთა რიგს შეემატა „ტრფობა წამებული“. ვასილ ბარნოვს, როგორც მედროშეს ამ ჟანრის განვითარებაში, შეემატნენ სხვა ქართველი მწერლებიც, რომელთა დამსახურებაა ის, რომ საქართველო მსოფლიოს სხვა ქვეყანათა შორის ერთ-ერთი გამორჩეულია ისტორიული რომანის განვითარების კუთხით. როდესაც ამ თემაზე ვსაუბრობთ, უპირველესად, გვერდს ვერ ავუვლით ამ მწერალთა სათითაოდ დასახელებას და მათ, მართლაც, დიდ ღვაწლს. ეს მწერლები არიან : კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშვილი, ლევან გოთუა,შალვა დადიანი, ლევან სანიკიძე. ამ მწერალთა რიგს მიეკუთვნება გრიგოლ აბაშიძეც, რომელმაც თავისი ისტორიული ტრილოგიით მართლაც, ღირსეულად გააგრძელა ქართული ისტორიული რომანის ტრადიციები. ამ ტრილოგიაში შემავალი რომანებია: „ ლაშარელა“, „დიდი ღამე“, და „ცოტნე, ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება“. სწორედ ამ რომანებს ეხებაწარმოდგენილი ნაშრომი, მაგრამ, სანამ უშუალოდ განსახილველ საკითხებზე გადავალ, მინდა შევეხო თავად მწერლის ბიოგრაფიას, რომელიც განმსაზღვრელ როლს თამაშობს მისი შემოქმედების შემდგომ განვითარებაში.

გრიგოლ აბაშიძე 1914 წლის 1-ლ აგვისტოს, ჭიათურის მახლობლად, სოფელ რგანში დაიბადა. 1936 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. ამის შემდგომ, სწავლა განაგრძო მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტის სასცენარო განყოფილებაზე, სადაც ორი წელი დაჰყო. მოსკოვიდან დაბრუნებულმა ხელი მიჰყო სარედაქტორო საქმიანობას. ის გახლდათ რედაქტორი ისეთი ჟურნალებისა, როგორებიცაა: „ნიანგი“(1944-1951); „დროშა“(1951-1960); „მნათობი“(1960-1967). 1967 წლიდან 1981 წლამდე იყო საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი და თავმჯდომარე. გრიგოლ აბაშიძის სახელის ხსენებაზე გვახსენდება ის, როგორც პოეტი. ბავშვობიდან ყოფილა გატაცებული პოეზიით. ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში ბეჭდავდა ლექსებს სხვადასხვა პერიოდულ ორგანოში. გრიგოლ აბაშიძე მთარგმნელობით საქმიანობაშიც აქტიურად იყო ჩართული. თარგმნილი აქვს შანდორ პეტეფის , მიხაი ემინესკუს, ხრისტო ბოტევის, ნიზამი განჯელის და სხვა დიდი

პოეტების ნაწარმოებები. ფრანგი პოეტის, პიერ რონსარის თარგმნისათვის 1985 წელს მას მიენიჭა ივანე მაჩაბლის სახელობის პრემია.

ისტორიული თემატიკით დაინტერესება გრიგოლ აბაშიძემ გამოავლინა ჯერ კიდევ ადრეულ ლექსებში. ამასთან დაკავშირებით მოვიყვანთ ამონარიდს ბოლოსიტყვაობიდან, რომელიც დართული აქვს რომანს „ცოტნე, ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება“: *„მწერლობაში ფეხის შედგმიდან საქართველოს ისტორიაც იყო ჩემი შთაგონების წყარო. ისტორია ჩემთვის მოთხოვნილებაზე მეტს ნიშნავდა, იგი ჩემში ცხოვრობდა და მე მაშინაც ვწერდი ლექსებსა და პოემებს ისტორიულ თემაზე, როცა საქართველოს წარსული ჩვენში არც ისე დიდი პატივით სარგებლობდა“*[აბაშიძე გრ. 1982 364]

2009 წელს გამოვიდა გრიგოლ აბაშიძის ლექსთა ბოლო კრებული „არყოფნისაკენ“. კრებულში შესულია ერთი უსათაურო ლექსი, რომელიც გრიგოლ აბაშიძეს პატრიოტიზმით აღსავსე პიროვნებად წარმოგვიჩენს.

„ამას მკარნახობს ფიქრიც, შეგნებაც,
სამყარო ცეცხლში თუ დაინთქმება,
სიცოცხლეს აზრი მაინც ექნება,
თუ საქართველო კიდევ იქნება!
გულწრფელად ვამბობ სათქმელს, გულღიად,
დე, მკრეხელობად ნუ აღიქმება:
სხვა ყველაფერი წყალს წაუღია,
თუ საქართველო აღარ იქნება!“

[აბაშიძე გრ. 2009: 10]

ამ სიტყვებს როდესაც ვკითხულობთ, ნათელი წარმოდგენა გვექმნება იმაზე, თუ როგორი სიყვარულით იყო განმსჭვალული სამშობლოსადმი გრიგოლ აბაშიძე. ამიტომ აღარ გვიკვირს ის დიდი სიყვარული საქართველოს ისტორიისა, რომელსაც მწერალი თავის რომანებში ამჟღავნებს.

თავი I

გრიგოლ აბაშიძის რომანი „ლაშარელა“

ტრილოგიის პირველი რომანი არის „ლაშარელა“. იგი 1957 წელს გამოქვეყნდა. ამ ისტორიულ რომანში ზედაპირზეა და ადვილი შესამჩნევია უბრალო მკითხველისთვისაც კი ის დიდი სიყვარული, რასაც მწერალი ამჟღავნებს საქართველოს ისტორიისადმი. ამის დასტურად მოვიხმოთ თავად მწერლისავე სიტყვებს: *„პირველი პროზაული ნაწარმოები „ლაშარელა“ საქართველოს ისტორიამ შთამაგონა*“ [აბაშიძე გრ. 1982 :364]

ორი წელიც არ იყო გასული, როდესაც „ლაშარელას“ თავზე შავი ღრუბლები შეიყარა. 1959 წლის იანვარში, „იმელის“ შენობაში გაიმართა მწერალთა კავშირის ყრილობა, სადაც განიხილეს და აუტოდაფე მოუწყვეს გრიგოლ აბაშიძის რომანს „ლაშარელა“. ეს გასაკვირი არ იყო იმ რეჟიმისათვის, სადაც ისტორიულ თემატიკას მტრულად უყურებდნენ, განსაკუთრებით კი უარყოფითად იყვნენ განწყობილნი საქართველოს ისტორიის გმირული და ამაღლებული მოვლენებისადმი. სასტიკი პოლიტიკური რეჟიმისათვის ეს უცხო არ არის, მწერალი ყველა მხრიდან უნდა ელოდეს საფრთხეს. საბჭოთა რეჟიმის მარწუხებს ვერ გაექცა „ლაშარელა“. როსტომ ჩხეიძეს „დარდი ფარულში“ აქვს საყურადღებო ციტატა, რომელიც რომანისადმი ასეთი დამოკიდებულების ერთ საინტერესო ვერსიას გვაწვდის: *„მწერლის ვაჟი-დავით აბაშიძე კი-ამ განწყობილებას იმ გარემოებით ახსნიდა, რომ რომანის გამოქვეყნება დაემთხვა დესტალინიზაციის ხანასა და 1956 წლის მარტის ტრაგიკულ ამბებს, ეროვნული თავმოყვარეობა უკიდურესობამდე გამძაფრებულიყო და ყოველგვარი შეხება ისტორიულ პერსონაჟებთან თუ გარდასული ჟამის ეპიზოდებთან უაღრესი სიმწვავით ამიტომაც აღიქმებოდა.*“[ჩხეიძე რ. 2013: 35]

მწერალთა კავშირის ყრილობაზე სიტყვით გამოვიდნენ: კონსტანტინე გამსახურდია, ირაკლი აბაშიძე, ვარლამ თოფურია, ისტორიკოსები: დავით გვრიტიშვილი და შოთა მესხია. საინტერესოა კონსტანტინე გამსახურდიას დამოკიდებულება „ლაშარელასადმი“. მან პუნქტობრივად ჩამოაყალიბა შენიშვნები. ყველაზე მეტად არ მოსწონდა ის, რომ თამარ

მეფის შვილები: რუსუდანი და ლაშა-გიორგი უარყოფით პერსონაჟებად იყვნენ წარმოდგენილნი ნაწარმოებში. მას მიაჩნდა, რომ ისტორიულ გმირს შეიძლება ზედმეტი სიკეთე მივანიჭოთ, მაგრამ არამც და არამც, ზედმეტი ბოროტებაო. ეს და კიდევ მრავალი უარყოფითი რამ გაუღერდა რომანის მისამართით იმ დღეს. გრიგოლ აბაშიძე მხოლოდ მოკრძალებული პასუხით შემოიფარგლა მაშინ, თუმცა შემდგომ, დაწერა წერილი სათაურით „რას ღაღადებენ წყაროები“, სადაც, ყველა იქ დასმულ კითხვასა და შენიშვნას გასცა პასუხი. *„თუ ჩემი წიგნი მართლაც ცუდია, მას არავის დაცვა არ უშველის, მაგრამ, თუ იგი ისეთია, როგორიც მე მინდოდა ყოფილიყო, მას მომავლის მიუდგომელი მკითხველი შეაფასებს, მეც ჯეროვანს მომიზღავს მისი ნაკლისა და სიკეთისათვის და ჩემი მსაჯულების მოქმედებასაც თავის სახელს დაარქმევს.“*[აბაშიძე გრ. 2009 :157]

ისტორიული რომანის დაწერისას მწერალი ბეწვის ხიდზე გადის. არსებობს ორი უკიდურესობა. სწორედ ის მწერალია გენიალური, რომელსაც ფეხი არ გადაუცდება და დაუბრკოლებლად გაივლის ამ ხიდს. ალბათ, ბუნებრივად ჩნდება კითხვა, თუ რაში მდგომარეობს ეს უკიდურესობანი? ერთი მხრივ, მწერალი არ უნდა გადაეშვას ისტორიის პერიპეტიებში და მხოლოდ მშრალი ისტორიული მასალა არ უნდა მოგვაწოდოს, ხოლო, მეორე მხრივ, მხოლოდ მხატვრული გამონაგონით არ უნდა შემოიფარგლოს, ისტორიის გადასხვაფერებამ არ უნდა გაიტაცოს. სხვა ლიტერატურული ჟანრის მწერლისგან განსხვავებით, ისტორიული რომანის ავტორს ყველაზე მეტად მოეთხოვება ზომიერების დაცვა. შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ გრიგოლ აბაშიძემ ეს ნამდვილად მოახერხა, განსაკუთრებით თავის რომანში „ლაშარელა“. ისტორიული რეალობა და მხატვრული გამონაგონი თანაბარი დოზით არსებობს ამ ნაწარმოებში.

„ლაშარელას“, „დიდი ღამისა“ და „ცოტნე, ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლების“ წერისას გრიგოლ აბაშიძე ეყრდნობოდა როგორც ქართულ, ისე უცხოურ წყაროებს, განსაკუთრებით კი მისი საყრდენი გახლდათ „ქართლის ცხოვრება“.*„თითქმის ოცი წელიწადი ვცხოვრობდი მეცამეტე საუკუნის საქართველოს ცხოვრებით. ჩემს სამუშაო მაგიდას ამ ხნის განმავლობაში არ მოშორებია რაშიდ ადინისა, იბნ ალასირის, ნესევისა და ჯუვეინის, ვასაფისა და კირაკოსის და სხვათა და სხვათა მატიანეები, მაგრამ უმთავრესი მაინც ჩემთვის „ქართლის ცხოვრება“ იყო. უცხო წყაროთა შესწავლამ და მრავალი*

გამოკვლევის გაცნობამ კიდევ უფრო განმიმტკიცა ნდობა „ქართლის ცხოვრების“ ღირსებისადმი“ [აბაშიძე გრ. 1982 :364] მწერლის ამ სიტყვების მიხედვით ირკვევა, რომ მისი მთავარი სამაგიდო წიგნი ამ რომანების წერისას გახლდათ „ქართლის ცხოვრება“.

„ლაშარელა“ მე-13 საუკუნის დასაწყისის საქართველოს ცხოვრებაზე მოგვითხრობს, თამარ მეფის ძის, ლაშა-გიორგი IV- ის გამეფებიდან მონღოლთა პირველ გამოჩენამდე საქართველოში . ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველო ერთ-ერთი ძლიერი სახელმწიფოა ახლო აღმოსავლეთში, მას ჯერ კიდევ შერჩენილი აქვს ის ბრწყინვალება და სიდიადე, რომელიც თამარის ეპოქაში ჰქონდა. როგორც ივანე ჯავახიშვილი თავის „ქართველი ერის ისტორიაში“ ამბობს: „ *საქართველო მაშინ ფართოდ განფენილი სახელმწიფო იყო, რომელსაც ჩრდილოეთით საზღვარი ქედს გადაღმა იმიერკავკასიაში ჰქონდა, სამხრეთით ჩრდილოეთ სპარსეთში და მცირე აზიაში იყო შესული, შავი ზღვითგან კასპიის ზღვამდე გადაჭიმული. მთელ მახლობელ აღმოსავლეთში უძლიერესი სახელმწიფო იყო.“*[ჯავახიშვილი ივ. 1966 :9] აქვე მოვიყვანოთ ამონარიდი „ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანიდან“, რომელიც ლაშა-გიორგის დროინდელ საქართველოზე შემდეგ სიტყვებს ამბობს: *„და იყო სამეფო მისი დიდსა დაწყნარებასა შინა“* [ქართლის ცხოვრება 1955: 370] ამ ცნობების მიხედვით ნათელი წარმოდგენა გვექმნება მაშინდელი საქართველოს შესახებ. სწორედ ასეთი ძლიერ სახელმწიფოს გვიხატავს გრიგოლ აბაშიძე თავის რომანში, თუმცა, როგორც მხატვრული ტექსტის ავტორებს სჩვევიათ, ეს ძლიერება კიდევ უფრო გაზვიადებულია. რომანში საქართველო „ახალ რომად“, ხოლო ლაშა-გიორგი კი ალექსანდრე მაკედონელად იწოდება. ამას თავის მიზეზი აქვს, როგორც როსტომ ჩხეიძე აღნიშნავს, გრიგოლ აბაშიძეს სურს მესიანიზმის იდეა შემოიტანოს.

ნაწარმოების დასაწყისში ჩვენს ყურადღებას იპყრობს შალვა ახალციხელისა და ჩალხია ფხოველის დიალოგი. ამ დიალოგით მწერლის სურვილი იყო ეჩვენებინა, რა ადგილი ეჭირა საქართველოს მაშინდელ გეოპოლიტიკურ ყოფაში.“*არცთუ ცოტანი არიან ამჟამად ქართველები; მას შემდეგ, რაც სომხეთი ჩვენთან არის, რაც მთის ტომები ჩვენს მორჩილებასა და მეგობრობაზე დგანან, ტრაპიზონის იმპერია ჩვენი ხელის შემყურეა, ხოლო შირვანი და ადარბადაგანი, ხლათი და არზრუმი ჩვენი მოხარკენი არიან, ცოტა აღარ ეთქმის საქართველოს; „ახლა, როცა ჩვენი ხელმწიფე მესიის მახვილად და*

ქრისტიანთა წინამძღოლად გამოვაცხადეთ, როცა დასავლეთის ჯვაროსნებმა იგი მეორე ალექსანდრედ აღიარეს და საქართველო ახალ რომად იწოდა, ასეთი დიდი და ძლიერი ქვეყნის მეფისგან დიდ საქმეებს მოელიან სამეფოს შიგნით და გარეთ.“ [აბაშიძე გრ. 1965 :21]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასეთი დახასიათება ლაშასდროინდელი საქართველოსი, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებულია, მაგრამ ისტორიამ იცის ერთი ფაქტი, რომელსაც გვერდს ვერ ავუვლით. ეს ფაქტი ერთ-ერთი მყარი მტკიცებულებაა იმისა, თუ როგორი სახელი ჰქონდა იმ დროისათვის ჩვენს ქვეყანას. დასავლეთ ევროპის მაშინდელ წყაროებში მოიპოვება ცნობები, რომელთა მიხედვითაც საქართველოს მეფეს, ლაშა-გიორგის მოუვიდა წერილი რომის პაპისგან, სადაც იგი ქართველ მეფეს მოუწოდებდა მონაწილეობა მიეღო ჯვაროსანთა ომში, რომელიც მაჰმადიანთა, სარკინოზთა წინააღმდეგ იყო მიმართული და იერუსალიმის გათავისუფლებას ისახავდა მიზნად. ეს მოწოდება, რა თქმა უნდა, უყურადღებოდ არ დაუტოვებია ლაშა-გიორგის და მზადებას შესდგომია. ამ მზადებაში მყოფ საქართველოს საზღვრებს მანამდე უცნობი, მონღოლთა ლაშქარი მოადგა. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ქართველი მემატიანენი, როგორც ჟამთააღმწერელი, ისე ლაშა- გიორგის დროინდელი მემატიანე ამ ამბავზე არაფერს ამბობენ. განსაკუთრებით ამ ფაქტის აღნიშვნა მოსალოდნელი იყო ლაშა გიორგის-დროინდელი მემატიანისგან, რომელიც ერთგვარ პანეგირიკს წარმოადგენს ლაშა-გიორგისა და მისი ეპოქისა. ფაქტია, რომ ეს მოვლენა უცნობი იყო ქართველი მემატიანეებისთვის, თორემ ისინი მას აუცილებლად აღნიშნავდნენ. თუმცა, ეს ამბავი უყურადღებოდ არ დაუტოვებია გრიგოლ აბაშიძეს. მან თავის რომანში საკმაოდ დიდი ნაწილი დაუთმო იმის აღწერას, რომ საქართველოს კარგი ურთიერთობა ჰქონდა დასავლეთ ევროპასთან. ვრცლად აქვს გადმოცემული ვენეციელი ელჩის სტუმრობა და მისგან დოჟის წერილის გადმოცემა. არსებობს ვარაუდი, რომლის მიხედვითაც ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობა ლაშა-გიორგის იმიტომ უნდოდა, რომ თამარის ანდერძი შეესრულებინა- მისი ნეშტი წაეღო იერუსალიმში და იქ დაეკრძალა. სწორედ ეს ვარაუდი აქვს ფართოდ გაშლილი გრიგოლ აბაშიძეს. „ლაშარელას“ კითხვისას ნამდვილად გვექმნება წარმოდგენა მაშინდელი ეპოქის, საქართველოს შიდა და გარე ურთიერთობათა

შესახებ. შესაძლოა ზოგიერთი ფაქტი გაზვიადებული და გამხატვრულებულია, რაც, უნდა აღვნიშნოთ, რომ აუცილებელიცაა, თუმცა ძირითადი ისტორიული მოვლენები ასე თუ ისე ზუსტადაა გადმოცემული და ამაზე მეტყველებს ამ ნაშრომში დასახელებული მემატიანეთა და ისტორიკოსთა წყაროები .

„ლაშარელა“ პერსონაჟთა სიმრავლით გამორჩეული ნაწარმოებია. აქ ერთმანეთის გვერდით თანაცხოვრობენ როგორც რეალურად არსებული, ისე გამოგონილი პიროვნებანი. იმდენად რეალისტურად არიან დახასიათებულნი გამოგონილი პერსონაჟები, რომ ხშირად გვიჭირს იმის დაჯერება, რომ ისინი ისტორიულად არ არსებობდნენ. ეს კი მხოლოდ მხატვრული სიტყვის ოსტატს თუ შეუძლია რომ მოხერხოს. გმირთა ფიქრებს, განცდებს, ემოციებს ოსტატურად გადმოსცემს ავტორი. გარდა პერსონაჟებისა, მწერალი მშვენიერი მხატვრული ფერებით გვიხატავს გარემოს, პეიზაჟებს. შეიძლება მხატვრული გამონაგონით ისარგებლოს მწერალმა, მაგრამ მას ნაკლები ღირებულება ჰქონდეს, გრიგოლ აბაშიძის შემთხვევაში ეს ასე არ არის.

ნაწარმოების სათაურიდან გამომდინარე, მთავარ პერსონაჟად გვევლინება ლაშა-გიორგი. რაც შეეხება მის ზედწოდებას, „ლაშარელას“, იგი ლაშარის ხატის საპატივცემულოდ დაერქვა მეფეს, ლაშარი კი ძველად ქართველთა მზის ღვთაება იყო. ეს სახელი შემთხვევით არ ეწოდა მეფეს- იგი წარმართობასთან ასოცირდება, წარმართობა კი ქართველი ხალხის, განსაკუთრებით კი მთიელთა თვითშეგნების ნაწილია, რომელიც ქრისტიანობასთანაა შეზავებული. გრიგოლ აბაშიძის ლაშა-გიორგის ხალხი ლაშარელას უწოდებს.

მთელი რომანი ძირითადად აგებულია ლაშა-გიორგის ცხოვრებაზე. სიუჟეტური თვალსაზრისით აქ გადმოცემულია ლაშას ბავშვობა, მისი გამეფება, დაპირისპირება და შუღლი დიდგვაროვანებთან, სასიყვარულო და ინტიმური ურთიერთობანი, განსაკუთრებით დიდი ადგილი აქვს დათმობილი მის სიყვარულს ველისციხელი ქალის, ლილესადმი.რომელიც მისი ერთგული მცველის, ლუხუმის მეუღლე იყო. ეს არის ძირითადი რომანული ხაზი ნაწარმოებისა. გრიგოლ აბაშიძემ შეძლო თავისი მკითხველისათვის ეჩვენებინა ლაშა-გიორგი, როგორც ადამიანი და და არა როგორც მხოლოდ მეფე. ადამიანებს კი, როგორც უარყოფითი, ასევე დადებითი თვისებები აქვთ.

შესაბამისად, გრიგოლ აბაშიძე ვერ შემოიფარგლებოდა მხოლოდ დადებითის ჩვენებით. *„ლაშა-გიორგი არ იყო ბიზანტიური ფრესკასავით მკვდარი და უსიცოცხლო. ის იყო წინააღმდეგობებით სავსე ჭაბუკი.“* [ჩხეიძე რ. 2013: 83]მიუხედავად ყველაფრისა, მთელი წიგნი, თავიდან ბოლომდე, ლაშასადმი სიმპათიითაა გაჟღენთილი. ავტორი კი არ კიცხავს მეფეს, არამედ თანაუგრძნობს.

მეფის თვისებები, ხასიათი მხოლოდ მწერლის ფანტაზიის ნაყოფი არ არის, ამაში ჩვენ ვრწმუნდებით ჟამთააღმწერელსა და ლაშა- გიორგის დროინდელ მემატიანეზე დაყრდნობით. დავიწყოთ, თუ როგორ ახასიათებს ლაშა გიორგის-დროინდელი მემატიანე ხელმწიფეს: *„ნერგი კეთილი- მოზარდი და ყუავილი ყოველთა ფერთაგან შემკობილი, ლომი ძალითა და უმანკო გონებითა, მოყვარული ყოველთა კაცთა, დიდთა და მცირეთა, მთავართა მათითა პატივითა, მონაზონთა და მღვდელთა მათითა პატივითა, მშჳდი და განურისხებელი ბუნებითა დაჭირებულთა განმკითხველი, ბჭე და მოსამართლე, დამხედვარი მეტად ჟამისა და ასაკისა მისისა.“*[ქართლის ცხოვრება,ტ. I 1955 :370] ცოტა არ იყოს, ეს დახასიათება ლაშა-გიორგისა გადაჭარბებულია, მხოლოდ დადებით თვისებებზეა აქცენტი გაკეთებული, რაც შეეხება ჟამთააღმწერელს, იგი არ ერიდება მეფის უარყოფით თვისებათა ხაზგასმას. *„რამეთუ იყო ესე ლაშა-გიორგი მჯნე, ახოვანი, ძლიერი, ლაღი, ამპარტავანი, თავჯედი, თჳთბუნება, ვითარცა მითქუამს, უხჳ, სახიობისმოყუარე, ღჳნისმოყუარე და გემოთმოყუარე.“* [ქართლის ცხოვრება ტ. II 1959: 151] ჟამთააღმწერელმა ლაშა-გიორგი საბრალდებო სკამზე დასვა და არ მოერიდა მისი უარყოფითი თვისებების ღიად გამოთქმას. ქვეყნის მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნის მიზეზად ლაშა-გიორგისა და, ზოგადად, მთელი ქართველი ერის ურწმუნოება და უკეთური ცხოვრება დაასახელა.

გრიგოლ აბაშიძის რომანის, „ლაშარელას“ ლაშა-გიორგი სწორედ ამ მემატიანეთა დახასიათების მიხედვითაა შექმნილი, ზოგიერთი თვისებით იგი ძალიან შორს დგას მემატიანეთა დახასიათებისაგან. გრიგოლ აბაშიძის გიორგი მეფე მართლაც რომ მხნე არის, ამავე დროს, გაჭირვებულთა შემწე, იგი ნებიერადაა გაზრდილი, ამიტომ ჯიუტია, ყოველთვის თავისი უნდა რომ გაიტანოს, თავისუფალი აზროვნების ადამიანია, არ არის შეზღუდული რელიგიური დოგმებითა და კანონებით. სხვისი აზრებისა და სურვილების

ანგარიშგაუწევლობა ახასიათებს. მწერალი ლაშა- გიორგის დროინდელი მემატიანის მიერ ჩამოთვლილი თვისებებისგან რადიკალურად განსხვავებულ სახეს ქმნის. ლაშა-გიორგი არათუ პატივისცემას, არამედ სრულიად უპატივცემულო დამოკიდებულებას იჩენს მღვდელთა და მონაზონთა, დიდებულთა და მთავართა მიმართ. შემთხვევით არ აღწერს მწერალი მეფის მიერ შუამთის მონასტრიდან მონაზონთა გატაცებას, მათზე სექსუალურ ძალადობაას და შემდეგ უკან დაბრუნებას. ასევე, მემატიანისგან განსხვავებით, იგი წარმოაჩენს მეფის უარყოფით დამოკიდებულებას როგორც ეკლესიის მსახურთა, ასევე დიდებულთა და მთავართა მიმართაც. თუმცა მწერალი საკუთარ ახსნას უძებნის ამ ფაქტს და შეიძლება ითქვას, გამართლებასაც კი ფიქრობს მეფე ლაშა-გიორგისი. *„ერთ დროს ახლისათვის მებრძოლი ქრისტეს ეკლესია, ახლა თვით ებრძოდა ყოველივე სიახლესა და მოწინავეს. მისი მსახურნი ასკეტიზმსა და ღვთის მორჩილებას უქადაგებდნენ მრევლს, თვითონ კი ყველას დასანახავად განცხრომასა და ფუფუნებაში ეჯიბრებოდნენ ერისაგან-მთავრებსა და დიდებულებს, კარისკაცებსა და დიდვაჭრებს.“* [აბაშიძე გრ. 1965: 52] მსგავს რამეს ვერ ვხვდებით ვერც ერთ ჩვენ მიერ ზემოთ მრავალგზის ნახსენებ მემატიანესთან. თუმცა გასაკვირი არ იქნება, თუ ეს ასე იყო, რადგან ცნობილია დავით აღმაშენებლის მიერ ჩატარებული რუის-ურბნისის საეკლესიო კრება, სადაც მიიღო დადგენილება, ე.წ. „ძეგლისწერა“, რომლის ძალითაც უღირსი საეკლესიო პირები გააძევა.

რაც შეეხება დიდებულთა და მთვართა მიმართ მეფის უარყოფით დამოკიდებულებას, ამასაც თავისი მიზეზები აქვს. თუ ამ მიზეზებზე მემატიანენი სდუმან, მწერალი საკმაოდ თამამად აშიშვლებს მათ. მეფე შეზღუდული უფლებებისთვის მებრძოლად დაგვიხატა ავტორმა. თავადებს ის ერთგვარ სათამაშოდ უნდათ, რასაც ეტყვიან, ის რომ აკეთოს. *„იგი ისევ ბავშვად უნდათ იყოლიონ, სამეფოს ნებიერ ბავშვად, რომელსაც თამაშსა და დროსტარებას არ უშლიან, მაგრამ არც ჭკუას კითხავენ, არც არაფერს უჯერებენ.“* [აბაშიძე გრ. 1965: 149]

მეფის მტკიცე ცენტრალური ხელისუფლება ნიშნავდა ქვეყნის ერთიანობას, სიძლიერეს, როგორც კულტურული, ასევე სოციალური და ეკონომიკური კუთხით. ამ ყველაფერს საფრთხეს უქადდა ფეოდალთა გაძლიერება, რომელიც გამოიწვევდა ქვეყნის

დასუსტებასა და დაქვეითებას. ლაშა-გიორგი გრძნობდა ამ საფრთხეს და ცდილობდა ქმედითი ნაბიჯები გადაედგა.

ისტორიაში არ არის დადასტურებული ის ფაქტი, რომ მეფეს სურდა ყივჩაღთა 30 000- იანი ლაშქრის გადმოყვანა, რომელთა დახმარებითაც იგი დიდგვაროვანთა ბატონობას დაამხობდა. ამით მწერალს იმის ჩვენება უნდოდა, თუ რამდენად შებოჭილი და შეზღუდული იყო მეფე. იგი ყველა ღონეს მიმართავდა, ოღონდ კი თავისი უფლებანი გაეფართოებინა. გარდა ამისა, არსებობს ერთი მიზეზიც, ისტორიულად ცნობილია, რომ ლაშა-გიორგიმ დავით აღმაშენებლის პოლიტიკური გზა აირჩია. ყივჩაღთა გადმოყვანის ამბავი მწერალს სწორედ ამის სადემონსტრაციოდ უნდა ჰქონდეს აღნიშნული. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა აკაკი ბაქრაძის სიტყვები: *„როგორც ჩანს, ლაშა-გიორგი ხედავდა იმ ბზარს, რომელიც თამარის საქართველოს ჰქონდა. ამიტომაც ცდილობს იგი უფრო დავით აღმაშენებელს წაბაძოს, ვიდრე მშობელ დედას. ჭაბუკი მეფე დედის მიერ აღზევებულ დიდგვაროვან მოხელეებს წაჰკიდებია („განიშორნა ვაზირნი სანატრელისა დედოფლისა...) და თავისი ტოლები დაუახლოვებია („შეიყვარნა თანამოჰასაკენი...“) ეს უმწიფარი ყმაწვილის ჟინიანობა როდია, არამედ რთული სოციალური კონფლიქტი. დავით აღმაშენებელმაც დიდი საქართველოს შენება მსხვილი, დიდგვარიანი ფეოდალების ალაგმვით დაიწყო.“*[„მნათობი“ N 6: 131]

მეფე გიორგის ჟამთააღმწერლისეული დახასიათებისა და გადმოცემული ფაქტებიდან გამომდინარე, ვასკვნით, რომ ხელმწიფე თავისუფალი აზროვნების ადამიანი იყო, თავისუფალ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა რელიგიისა და ცოლქმრული ურთიერთობის მიმართ. ჟამთააღმწერელთან ვხვდებით ამბავს, რომლის მიხედვითაც ლაშა-გიორგი რინდთა ორდენის წევრებთან დაახლოებული ყოფილა: *„შეიყარა თანამოასაკენი მსმურობითა და დედათა უწესოთა თანააღრევად, რომელ ესოდენ უსახურობად მიიწია, რომელ ოდესმე მსმელი ფრიადისა ღვნისა ტფილისს მყოფი, წარიყვანეს რინდთა თანა, რათა მუნ განიძღონ სიბილწე თჳსი. ხოლო რინდნი, მეფისა მისვლისა არამგონებელნი და ღვნით უცნობოქმნილნი, ზედა- მოეტევნეს მგუემელნი ძლიერად, ვიდრემდი ერთიცა თუალი მარჯუენე ხედვისაგან უხედვო ყვეს.“* [ქართლის ცხოვრება ტ.I 1959: 155]

საინტერესოა, ვინ იყვნენ ეს რინდები? როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს: *„ეს იყო მაჰმადიანობის წიაღში წარმოშობილი მისტიკური მიმართულება, რომლის თეოსოფიური მრწამსი ყოველსავე ამქვეყნიურსა და იმქვეყნიურ ჯილდოს არარაობად სთვლიდა, სარწმუნოების ყოველსავე დოგმებსა და სავალდებულო წესებს უარყოფდა და მხოლოდ თავის არსების ღვთაებასთან განუყრელად ყოფნისადმი მისწრაფებას აღიარებდა.“*[ჯავახიშვილი ივ. 1966: 35] რინდები ლოთობის მიმდევარნი და ცოლ-ქმრული ცხოვრებისადმი თავისუფალი დამოკიდებულების ადამიანები უნდა ყოფილიყვნენ. ეს ფაქტი მეფისა და რინდთა კავშირისა, რა თქმა უნდა, აღუნიშვნელი არ დაუტოვებიაგრიგოლ აბაშიძეს. მეფე ლაშა-გიორგის პიროვნების წარმოჩენაში ხომ ამ ფაქტს ძალზედ დიდი მნიშვნელობა ენიჭება. რაც შეეხება თავისუფალ დამოკიდებულებას ცოლქმრული ურთიერთობისადმი, ლაშა-გიორგის დაუქორწინებლობას, მის ურთიერთობას ველისციხელი გლეხის ცოლთან, რომელზედაც როგორც ჟამთააღმწერელი, ისე ლაშა- გიორგის დროინდელი მემატიანე საუბრობს, ძირითად ნაწილად გამოიყენა მწერალმა ნაწარმოების რომანულ ხაზში, რომელზედაც ქვემოთ უფრო ვრცლად ვისაუბრებთ.

როდესაც ლაშა-გიორგი გამეფდა, ყველა ეჭვის თვალით უცქერდა, რამდენად შეძლებდა ჭაბუკი, ნებივრად გაზრდილი მეფე გაძღოლოდა საკმაოდ დიდ სახელმწიფოს, რომელიც, როგორც მაშინდელი მემატიანენი იუწყებიან, შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე იყო გადაჭიმული. განსაკუთრებით საქართველოს მოხარკე ქვეყნები გააქტიურდნენ, უნდოდათ ესარგებლათ და თავი დაეღწიათ საქართველოს გავლენისაგან. ამ კუთხით პირველობა განძის ათაბაგმა გამოიჩინა- იგი აჯანყდა, ქართველებმა კი ამ აჯანყების ჩასახშობად მეფე ლაშას მეთაურობით დიდძალი ლაშქარი დაძრეს და განძისკენ გაემართნენ. ისტორიკოსები, განძის აღების აღწერისას, განსაკუთრებულ აქცენტს ლაშას დამოუკიდებელ გადაწყვეტილებაზე აკეთებენ, ამით სურთ გაამართლონ მათ მიერ ლაშას ერთ-ერთ თვისებად სიჯიუტის აღნიშვნა. მეფე ლაშა-გიორგიმ, მთავარი ლაშქრისა და დიდებულებისგან დამოუკიდებლად, შემოუარა ქალაქ განძას, სადაც მოულოდნელი ბრძოლა გადახდა თავს. მიუხედავად იმისა, რომ გაიმარჯვა ამ შეტაკებაში, ის დიდებულებმა დატუქსეს თვითნებობისთვის, ისე, როგორც პატარა ბავშვი.

ჟამთააღმწერელი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ მეფემ ბოდიში მოიხადა დიდებულთა წინაშე. ლაშა-გიორგის ამ ნაბიჯით წარმოჩნდა მისი, როგორც მეფის ტრაგედია. გრიგოლ აბაშიძე არც ერთ ფაქტსა და დეტალს, რაც ლაშა-გიორგის ეხება, უყურადღებოდ არ ტოვებს, შესაბამისად, ეს ამბავიც გამოიყენა, თუმცა- თავისებური ინტერპრეტაციით. დაგვანახა მეფის სულში მიმდინარე ორომტრიალი. დამცირებულმა და დაკნინებულმა მეფემ კიდევ ერთხელ იგრძნო თავისი უსუსურობა. მემატიანენი მეფე ლაშა-გიორგიზე არსებულ ფაქტებს და მოვლენებთან გარკვეულ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ. ლაშა- გიორგის დროინდელი მემატიანე მხოლოდ დადებითით შემოიფარგლება, ჟამთააღმწერელი კი შიგადაშიგ უარყოფითის თქმასაც არ ერიდება, იგი ობიექტურობას ინარჩუნებს. ისინი არ ცდილობენ მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ახსნას. მათი ინტერესის სფეროში არ შედის, რატომ იყო, რომ ლაშა-გიორგი ყოველთვის აკეთებდა იმას, რაც მიზანშეწონილი არ იყო. ამ კითხვაზე პასუხების მოძებნა შეგვიძლია „ლაშარელაში“. ლაშა იყო ადამიანი, რომელსაც ჰქონდა სტატუსი, ის იყო მეფე, მაგრამ-მხოლოდ ფორმალურად. სწორედ თავისი ასეთი ქცევით იგი პროტესტს გამოხატავდა. შეიძლება თავისებურად, მაგრამ მაინც. გრიგოლ აბაშიძემ გვიჩვენა ლაშა, როგორც ადამიანი. ადამიანები კი სხვადასხვა ფორმას იყენებენ პროტესტის გამოსახატავად. ლაშა-გიორგის „ფორმა“ კი ასეთი იყო.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა, თუ კონკრეტულად ვისთან ჰქონდა დაპირისპირება მეფეს და დასტურდება თუ არა ეს ქართულ მატიანეებში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამოგონილ პერსონაჟებთან ერთად, რომანში გვხვდება ისტორიულად არსებული პიროვნებანიც. ასეთი კი სულ რამდენიმეა: ივანე ათაბაგი, ზაქარია მხარგრძელი, შალვა თორელი (ახალციხელი), ვარამ გაგელი,რუსუდანი, ყუარყუარე ჯაყელი, ბიბილა გურკელი, ბოცო ბოცოსძე,მემნას ძმა, ეგასლან ბაკურციხელი. ამ პიროვნებათაგან გრიგოლ აბაშიძემ ძირითადი დატვირთვა რომანში მიანიჭა ივანე ათაბაგსა და შალვა ახალციხელს. მემატიანენი ამ პიროვნებებს მხოლოდ დადებით კონტექსტში ახსენებენ. ისინი თამარის დროსაც ერთგულ დიდებულებად არიან წარმოჩენილნი, ლაშასაც ერთგულად ემსახურებიან. თუმცა ლაშამ თავის უზნეო ქცევით ისინი ჩამოიშორა. ჟამთააღმწერელი ამ ურთიერთობის გაფუჭებაში მხოლოდ ლაშა-გიორგის ადანაშაულებს. თუ

ჟამთააღმწერელი ურთიერთობის მხოლოდ ერთ მხარეს გვიჩვენებს, გრიგოლ აბაშიძემ ორივე მხარე წარმოგვიჩინა, იმდენად რეალურად, რომ დარწმუნებულნი ვხდებით გადაწყვეტილების სისწორეში, ამას ისიც გვიმტკიცებს, რომ მეფეებსა და დიდებულებს ყოველთვის ჰქონდათ დაპირისპირება. დიდებულები მუდამ ისწრაფვოდნენ უფრო მაღალი სტატუსის მინიჭებისკენ და ზოგიერთი იმდენად კადნიერდებოდა, რომ მეფობაზეც კი ეჭირა თვალი. ასეთ დიდებულად მწერალმა ივანე ათაბაგი გვიჩვენა. ივანე ათაბაგი, რომელიც თამარ მეფის ერთგული ადამიანი იყო. გრიგოლ აბაშიძის ივანე ათაბაგი ანგარებიანი, მხოლოდ პირადი კეთილდღეობისთვის მებრძოლი ადამიანია. ყველა საქმეს თავის სასიკეთოდ აკეთებს, საქვეყნო საქმეებსაც კი. იგი თავის შვილსაც არ ინდობს და იმისათვის, რომ ხლათის მელიქისგან თავი დაიხსნას თავის მშვენიერ ქალიშვილს, თამთას, მიათხოვებს. გრიგოლ აბაშიძე კიდევ უფრო შორს მიდის და ივანე ათაბაგს მიაწერს ლაშა-გიორგის მოკვდინების მცდელობასაც. იგი მხოლოდ თავისი ინტერესებისთვის მებრძოლ, ძალიან დიდი გავლენის მქონე პერსონაჟად წარმოჩნდება რომანში. ივანე ათაბაგის ასეთი მძაფრი დახასიათება იმისათვის დასჭირდა მწერალს, რომ ეჩვენებინა, თუ როგორ დიდებულებთან ჰქონდა დაპირისპირება ლაშა-გიორგის. თუ ამ დაპირისპირებაში მემატიანენი დიდებულების მხარეს დგანან, მწერალი ლაშას პოზიციასაც წარმოაჩენს. მისკენ იხრება. ლაშა-გიორგის ერთგული დიდებულებიც ჰყავდა ამ დაპირისპირებაში, როგორიც იყო შალვა ახალციხელი, თუმცა ისიც მხოლოდ იმიტომ იყო ლაშას გვერდით, რომ ვერ ეგუებოდა ივანე ათაბაგის ძლიერებას, რადგან მისი ძლიერება მასაც თრგუნავდა.

გრიგოლ აბაშიძეს შემთხვევით არ უსაუბრია ამ დაპირისპირებაზე თავის რომანში. იგი ამით ერთგვარ გაკვეთილს აძლევს ქართველ ხალხს, რომ სწორედ შიდა დაპირისპირება იყო და არის ჩვენი ქვეყნის განვითარების შემაფერხებელი უმთავრესი ფაქტორი. ძალები, რომლებიც შიდაარეულობისა დადაპირისპირებისთვის იხარჯება, რომ გაერთიანდეს და მიემართოს გარეშე მტერს, საქართველო ერთ-ერთი წარმატებული ქვეყანა იქნება. არ უნდა დაგვავიწყდეს ის, რომ, როდესაც ეს რომანი იწერებოდა, კომუნისტური რეჟიმი ბატონობდა და გრიგოლ აბაშიძე მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გახლდათ. იგი გაცხადებულად რასაც ვერ ამბობდა, ფარული ქვეტექსტებით აგზავნიდა თავისი რომანებიდან. მოუწოდებდა ქართველ ხალხს გაერთიანებისკენ,

შიდადაპირისპირების შეწყვეტისაკენ. ისტორიის გაცოცხლებით იგი ისწრაფვოდა ქართველთა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისკენ. განსაკუთრებით ეს უბრალო, გლეხი, დაბალი ფენის წარმომადგენლების ცხოვრების გადმოცემისას შეინიშნება. სწორედ ქართველი ხალხი უნდა იყოს საფუძველისაქართველოს გათავისუფლებისა და წინსვლისა. მემატიანენი საზოგადოებას, უბრალო ხალხს ყურადღების მიღმა ტოვებენ, გრიგოლ აბაშიძემ ამ დანაკლისის ამოვსება განიზრახა და გამოუვიდა კიდეც თავის პერსონაჟების სახით. ლუხუმ მიგრიაული, ციცინო,ლილე, ჩალხია ფხოველი, შიო კაციტაისძე, ქარუმა და სხვანი, მიუხედავად იმისა, რომ გამოგონილი პერსონაჟები არიან, ხალხის ფენაზე წარმოდგენას ნამდვილად გვიქმნიან.

„ჩვენ გლეხების თავისუფლებისთვის ვიბრძოდით და მეფემ ჩვენი თავი ისევ ყმა გლეხებს ამოაწყვეტინა. მაგრამ ეს იცოდე, შალვა, კარგი დღე არც მეფესა და ჩვენს ქვეყანას დაადგება. ეგ ლახვარი მარტო მიგრიაულს კი არა, საქართველოს ძლიერებას ჩასცეს ზურგში, რადგან საქართველოს ძლიერება, მიგრიაულისთანა პატიოსან ყმა გლეხების ძალასა და სიმტკიცეზე იყო მუდამ დამყარებული. [აბაშიძე გრ. 1965: 311] ეს სიტყვები ჩალხია ფხოველმა მაშინ წარმოსთქვა, როდესაც მეფის მცველი და ლილეს ქმარი ლუხუმ მიგრიაული მოკლეს, მისი სიკვდილი კი ლაშა-გიორგის კისერზე იყო.

„თუ ერთი მხრივ, ლაშა-გიორგი ინფანტილურია (კერძოდ, ივანე მხარგრძელთან დამოკიდებულებაში), მეორე მხრივ, შეუბრალებლად ბოროტია (ლუხუმ მიგრიაულის მიმართ). ინფანტილურობა და ბოროტება რაღაცით უკავშირდება ერთმანეთს, მაგრამ ამ კავშირს მეტი ფსიქოლოგიური დამაჯერებლობა სჭირდება. მაშინ დაიხატებოდა რთული, მრავალფეროვანი, წინააღმდეგობრივი ბუნებისა და ხასიათის ადამიანი. მაგრამ, ამჟამად, სამწუხაროდ, ასე არ გამოვიდა. გამოვიდა უგუნური კაცის ხასიათი. თუ, ერთი მხრივ, უგუნურება წარმოშვა ინფანტილურობამ, მეორე მხრივ, უგუნურება დაბადა ბოროტებამ, ხოლო ლაშა-გიორგიმ უგუნურებით დაღუპა არა მარტო საკუთარი თავი, არამედ საქართველოს სამეფოც.“[„მნათობი“, N6 : 131] ამ სიტყვებით ერთგვარად აჯამებს აკაკი ბაქრაძე როგორც ლაშა- გიორგის პიროვნებასა და ხასიათს, ასევე- მის გარშემო მიმდინარე მოვლენებსაც.

საქართველოს ისტორიას ახსოვს მრავალი ფაქტი, როცა ხელისუფლებისგან უსამართლოდ შეწუხებული ხალხი თავს ტყეში ფირალად გაქცევით შველოდა. ზოგჯერ ხდებოდა ისეც, რომ საკმაოდ დიდი ძალა იყრიდა თავს. ხელისუფლება, რომელსაც მათი უფლებანი უნდა დაეცვა, პირიქით ხალხის წინააღმდეგ მიდიოდა. ასეთი ფაქტი გახდა საფუძველი მიხეილ ჯავახიშვილის ისტორიული რომანისა „არსენა მარაბდელი“. ვფიქრობ, ეგებ, ამ რომანის გავლენით არის შექმნილი „ლაშარელაში“ ლუხუმისა და ქარუმას ტყეში გასვლის ხაზი. ეს ამბავი გრიგოლ აბაშიძეს შემთხვევით არ აქვს მოცემული თავის რომანში. ამით ისევ და ისევ იმის აღნიშვნა სურდა, რომ საქართველოს ძლიერების გასაღები ხალხშია. ხელმწიფისა და დიდებულების, დიდებულებისა და ხალხის დაპირისპირება ყველაზე დიდი დამაბრკოლებელი ფაქტორი იყო საქართველოსთვის. ისტორიამ ქართველებს ჭკუა ვერ ასწავლა, ისინი მუდამ ერთსა და იმავე შეცდომებს უშვებენ. თავის რომანში კიდევ ერთი გაკვეთილი შესთავაზა ქართველ ხალხს გრიგოლ აბაშიძემ.

მრავალგზის ვახსენეთ „ლაშარელას“ რომანული ხაზი. რომანული ამბავი მწერალს რეალური ფაქტების მიხედვით აქვს შექმნილი. ქართველი მემატიანენი არ მალავენ ლაშა-გიორგის თავისუფალ დამოკიდებულებას ცოლქმრობის მიმართ. ლაშა-გიორგისდროინდელი მემატიანე ამბობს: *„ არა დარჩა ცოლსა თანა გვრგვნისა შვილი.“* [ქართლის ცხოვრება ტ.I 1955: 371] ამ მოკლე ცნობის მიხედვით ვხვდებით, რომ მეფე ლაშა-გიორგის არ ჰყოლია კანონიერი მეუღლე და შვილი. თუ მემატიანე უფრო მეტის თქმისგან თავს იკავებს, სამაგიეროდ, ჟამთააღმწერელი უფრო თანმიმდევრულია, თამამად და ნათლად აქვს გადმოცემული ყველა ფაქტი, რაც ამ ამბის შესახებ იცის. *„მისრულმან კახეთს, სოფელსა ერთსა, ველისციხესა, იხილა ქალი ფრიად ქმნულკეთილი და მყის აღტაცებული იქმნა გულისთქმათა მიერ და დამვიწყებელმან დავითის და ურიის ცოლისა მიმართისა საქმისამან მსწრაფლ თჳსად მიიყვანა და შეიყუარა. და მუცლად- იღო დედაკაცმან და შვა ყრმა, რომელსა უწოდეს დავით“ ; „ამათ განსვენებასა შინა მყოფმან არა ინება ქორწინება ცოლისა. ამისთვის შეკრბეს კათალიკოზნი, ეფისკოპოზნი და ვაზირნი. წარგვუარეს ქალი იგი, დედა დავითისი, და ქმარსავე მისსა მისცეს. ხოლო არცა მაშინ ექორწინა მეუღლესა, არამედ ევო უქორწინებლად.“* [ქართლის ცხოვრება ტ. II 1959: 155-

156] გრიგოლ აბაშიძემ ეს ამბავი მთლიანად გამოიყენა თავის რომანში, თუმცა გაამხატვრულა და ამ ურთიერთობის გამართლებასაც შეეცადა. გრიგოლ აბაშიძემ დრამატული სიტუაცია რომ შეექმნა, ეს ველისციხელი ქალი მეფის ერთგული, სიკვდილისგან მრავალგზის მხსნელი ლუხუმ მიგრიაულის მეუღლედ წაარმოგვიჩინა. ველისციხელ ქალს მწერალმა ლილე უწოდა, რომელიც მზის ძველთაძველი ღვთაების სახელია. ეს სახელი სიწმინდესა და მზიურობასთან ასოცირდება. თავს, სადაც მეფისა და ლილეს შეხვედრაა გადმოცემული, მწერალმა „ერთ სულ და ერთ ხორც“ უწოდა. ეს ურთიერთობა როგორც მორალური, ისე სოციალური კუთხით გაუმართლებლად მოჩანს. მეფემ უსამართლობა გამოიჩინა, ქმარს კანონიერი მეუღლე წაართვა. თავისი სტატუსი ბოროტად გამოიყენა.ამავე დროს, ეს ქალი დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელია, მეფემ კი მეზობელი სახელმწიფოების მეფეთა ასულები უნდა მოიყვანოს ცოლად, ასევე, დასაშვებია დიდგვაროვანთა ქალიშვილებთან დაქორწინებაც. დავით წინასწარმეტყველის ცდუნების ამბავი, რომელიც ნახსენებია ჟამთააღმწერელის მიერ, ერთგვარ ლაიტმოტივად გამოიყენა მწერალმა ლაშასა და ლილეს ურთიერთობის გადმოცემისას.

როდესაც საქართველოს ისტორიას გადავხედავთ, გვახსენდება მეფე აშოტ კურაპალატი და მისი სასიყვარულო ურთიერთობა გლეხის ქალთან, რაც საფუძველი გახდა ვასილ ბარნოვის რომანისა „ტრფობა წამებული“. მსგავსად ლაშა-გიორგისა, აშოტიც ქვეყნის მეთაური გახლდათ, მასაც თავის ერთგული ქვეშევრდომის მეუღლე შეუყვარდა და წაჰვარა კიდეც. ერთი დიდი განსხავავება ის გახლავთ, რომ მეფე აშოტს კანონიერი მეუღლე ჰყავდა. ლაშასა და ლილეს ურთიერთობა ძალიან ჰგავს აშოტისა და შუქურის ურთიერთობას. ეს არის სიყვარულის უმაღლესი საფეხური, როდესაც ქალ-ვაჟი სულით და ხორცით ერთნი ხდებიან. ლაშასა და ლილეს სასიყვარულო ურთიერთობა განსხვავებულია, მაგრამ, ამავე დროს, ძალიან ჰგავს აშოტისა და შუქურის სიყვარულს. ამიტომ გასაკვირი არ არის და სულაც არ აკნინებს გრიგოლ აბაშიძეს ის ფაქტი, რომ, ვთქვათ, ვასილ ბარნოვის „ტრფობა წამებულიდან“ აეღო გარკვეული შტრიხები. თან ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თავად მწერალი ხშირად ახსენებს აშოტსა და მის სასიყვარულო ურთიერთობას გლეხის ქალთან. გრიგოლ აბაშიძე იმ რომანტიკულ

შტრიხებს იყენებს, რომელიც დამახასიათებელი იყო ვასილ ბარნოვისთვის, შეიძლება ითქვას, იგი ბარნოვის სკოლის მწერლად რჩება. აქ აუცილებლად უნდა მოვიტანოთ ციტატა როსტომ ჩხეიძის წიგნიდან „დარდი ფარული“: *„ვასილ ბარნოვის იშვიათი ხელოვნებით ევროპული რომანის რანგში ამაღლებული ქართული ისტორიული ბელეტრისტიკა იმ გადახალისების აუცილებლობას გრძნობდა „ლაშარელას“ მოვლინებას რომ უნდა დაედასტურებინა“*[ჩხეიძე რ. 2013: 21]

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ეს ურთიერთობა მორალურად, ზნეობრივად და, ამავე დროს, სოციალური კუთხით გაუმართლებელია. თუმცა, მწერალი ამ ურთიერთობას გამართლებას უძებნის. ერთი მხრივ, იმით, რომ ლილეს იგი წარჩინებულთა გვარის წარმომადგენლად გვიხატავს. წარჩინებულთა გვარის, რომელიც სხვა დიდებულებმა ამოხოცეს და მხოლოდ ლილე გადარჩა. მწერალი იზიარებს ფართოდ გავრცელებულ მოსაზრებას მონათესავე სულების შესახებ. მას სწამს, რომ ოდესღაც გაყოფილი და დაკარგული ნახევრები შეიძლება ერთმანეთს შეხვდნენ და ერთ მთლიანობად გადაიქცნენ. სწორედ ასეთ ნაწილებად აღიქვამს მწერალი ლაშასა და ლილეს, რომლებიც ერთმანეთს იზიდავენ და შემდეგ მათი დაშორება ძალზე ძნელია, შეიძლება ითქვას, შეუძლებელიც. *„მათი შეერთება მზისადა მთვარის შეყრას ჰგავდა, დღე და ღამე ერთი მეორეს ეჯიბრებოდნენ, რომელი მეტ სიამოვნებასა და სიხარულს მივცემთ ერთმანეთის ჭვრეტითა და ალერსით გაუმაძღარ მიჯნურთო.“* [აბაშიძე გრ. 1965: 192] რეალურადაც რომ ეს სიყვარული ასეთი „გარდარეული“ იყო, მოწმობს ის ფაქტი, რომ მეფემ არაერთი საეკლესიო და საერო პირის მოწოდების მიუხედავად, ველისციხელი ქალი არ დათმო, სანამ ბოლოს ძალით არ წაჰგვარეს.

ნაწარმოებში ერთი უზუსტობა აქვს მწერალს გაპარული. იგი საუბრობს ლაშასა და ლილეს ზებუნებრივ სიყვარულზე, თან ამავე დროს ასეთ სიტყვებს ამბობს: *„ეს მუდმივი შფოთი და მოუსვენრობა კიდევ უფრო აძლიერებდა მეფის სიყვარულს ლილეს მიმართ. სხვანაირად, ამდენხანს იქნებ მოწყენოდა კიდეც ლილე.“* [აბაშიძე გრ. 1965: 232]თუ ლაშა და ლილე მონათესავე სულები, ერთ დროს ერთმანეთს დაცილებული ნაწილები იყვნენ, მაშინ როგორ შეიძლებოდა ისინი ერთმანეთს დაშორებოდნენ?!

შეიძლება გრიგოლ აბაშიძე გარკვეულ გამართლებას უძებნის მეფე ლაშა-გიორგისა და ლილეს ურთიერთობას, დადებითად წარმოაჩენს მას, მაგრამ თვალს ვერ დავხუჭავთ იმაზე, რომ ეს კავშირი უსამართლო და გაუმართლებელია. განსაკუთრებით კი ლუხუმისათვის.*„ლაშარელას“ დრამატულ სიყვარულთან ერთად მისი ქვეშევრდომის დათრგუნულ სიყვარულსაც მიაპყრო მზერა და დაგვიხატამიმზიდველი პორტრეტი ალალმართალი ქართველი ვაჟკაცისა სოციალური ჩაგვრის მსხვერპლი რომ გამხდარა ბიბლიური ურია ხეთელივით. ოღონდ, მისგან განსხვავებით, ბრძოლას უცხადებს ამქვეყნიურ უსამართლობას. მწერალმა „ქართლის ცხოვრების“ გმირთა პანთეონში შემორჩენილი ვაკუუმი შეავსო და იქ დაამკვიდრა ლუხუმის მედგარი სული, კაკო ყაჩაღისა და არსენა მარაბდელის წინამორბედად რომ გვევლინება.“* [„ჩვენი მწერლობა“ N 20 : 8] ცუდად მოექცა ლაშა-გიორგი ლუხუმს, თუმცა ბედისწერამ მასზე ძალიან მკაცრად იძია შური. შემთხვევითი არ არის ის, რომ მონღოლი სუბუდაის სახეში მეფე ლუხუმს ხედავს.

გრიგოლ აბაშიძე ჟამთააღმწერელის თხრობას ეყრდნობა, მაგრამ ამ ურთიერთობის დასასრულს განსხვავებულ ინტერპრეტაციას აძლევს და ამით აშოტ კურაპალატის ამბავთან აახლოებს მას. ჟამთააღმწერელი ამბობს, რომ ველისციხელი ქალი თავის მეუღლეს დაუბრუნეს, ხოლო გრიგოლ აბაშიძემ იგი მონასტრის გზას გაუყენა. უფლის ხელი ჩარია მწერალმა და ლილე თავის ნებით გაუშვა ყოვლაწმინდას დედათა მონასტერში. არის კიდევ ერთი ვერსია იმისა, თუ რატომ არ დაუბრუნა ლილე თავის კანონიერ მეუღლეს მწერალმა და რატომ გაუშვა ის მონასტერში. ამით ქართველი კაცის ღირსება არ შელახა, რადგან ქართველი კაცი სხვასთან ნამყოფ ქალს არ დაიბრუნებდა, თავმოყვარეობა არ მისცემდა ამის უფლებას. რაც შეეხება ლილეს მონასტერში წასვლას, ამით მან ცოდვა მოინანია,თავის დანაშაული დაინახა და გაიაზრა. თუმცა, მიუხედავად ამ ყველაფრისა, ეს სიყვარული მარადიული აღმოჩნდა. ლაშამ ლილეს შემდეგ ცოლი არ მოიყვანა და მისი სიყვარული ჩაიმარხა გულში.

გრიგოლ აბაშიძე „ლაშარელას“ ასრულებს მონღოლთა პირველი შემოსევებით საქართველოში. იგი ამ ამბების აღწერისას ეყრდნობა ჟამთააღმწერელს. მონღოლებისადმი ქართველთა დამოკიდებულება, გაურკვევლობა, თუ რომელი რელიგიის წარმომადგენლები იყვნენ ისინი, მეფის მზადება მათთან საბრძოლველად,

ლაშას დაჭრა, მონღოლთა მეორედ შემოსვლა და შემდეგ მათი უკან გაბრუნება- ეს ყველაფერი მწერალს ქართველ მემატიანეზე დაყრდნობით აქვს აღწერილი. ყველაფერი ეს რომანში ისტორიულ სინამდვილეს წარმოადგენს. ამ ამბებით სრულდება რომანი. მწერალი არაფერს ამბობს მეფის დაღუპვაზე და ამით ერთგვარ ღია ფინალს ტოვებს. ქართველი მემატიანეების მიხედვით კი, ლაშა 1222 წლის 18 იანვარს დაიღუპა. მან დატოვა ანდერძი. ამ ანდერძის მიხედვით ირკვევა, რომ იგი კანონიერ მეუღლედ თვლიდა ველისციხელ ქალს, და შესაბამისად, კანონიერ მემკვიდრედ მიაჩნდა მისგან შეძენელი ვაჟი, დავითი, მომავალში დავით ულუ.

ლაშა-გიორგი იყო მეფე, რომლის დროსაც რაიმე განსაკუთრებული არ მომხდარა საქართველოს ისტორიაში. იგი თამარ მეფის მოპოვებული ძლიერების შენარჩუნებას ცდილობდა, თუმცა, მისი მეფობის დროს ბზარი გაუჩნდა ამ ძლიერებას. ლაშა-გიორგი მეფეების იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომლებიც ნაკლებ ყურადღებას იქცევენ მომავალ თაობებში. მისი აკრძალული სიყვარულის ისტორიაც უცნობი დარჩებოდა, რომ არა გრიგოლ აბაშიძე და რომანი „ლაშარელა“. მწერალმა „ლაშარელათი“ მეფის ხასიათის განსხვავებული შტრიხები წარმოაჩინა, დახატა ტრაგიკული ხელისუფალი, რომლის ბიოგრაფიაშიც დავით მეფსალმუნისეული ბიოგრაფიული პასაჟი განმეორდა. გრიგოლ აბაშიძემ ამ რომანით უკვდავყო მეფის სახელი.

თავი II

გრიგოლ აბაშიძის რომანი„დიდი ღამე“

ექვსი წელიც არ იყო გასული, როდესაც ქართველმა მკითხველმა საზოგადოებამ იხილა გრიგოლ აბაშიძის მეორე ისტორიული რომანი- „დიდი ღამე“. იგი ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს „ლაშარელასი“ და ცხადი ხდება, თუ რატომ დატოვა ღია ფინალი ამ უკანასკნელ რომანში გრიგოლ აბაშიძემ. „ლაშარელა“ სრულდება მონღოლთა მეორე შემოსევით საქართველოში და მათი შემდგომი უკანდახევით, ეს მოხდა დაახლოებით 1222 წელს, რაც შეეხება „დიდ ღამეს“, იგი ამ ფაქტის შემდგომ მოვლენებს გადმოგვცემს. ლაშა-გიორგის სიკვდილი და რუსუდანის გამეფება „ლაშარელაში“ აღწერილი არ არის, „დიდ ღამეშია“ გადმოცემული. რომანი, ქრონოლოგიური თვალსაზრისით, მოიცავს პერიოდს რუსუდანის გამეფებიდან მის გარდაცვალებამდე.

დავით აღმაშენებლის გამეფებით საქართველოში დადგა დიდი, ნათელი და გაბრწყინებული დღეები. დღეს კი, როგორც ვიცით, ყოველთვის მოსდევს ღამე. სწორედ ასეთი „ღამე“ ჩამოწვა საქართველოში რუსუდანის გამეფების შემდგომ. რა გახდა ამის მიზეზი? ის, რომ საქართველოში ქალი გამეფდა, თუ ის, რომ რთული გეოპოლიტიკური მდგომარეობა შეიქმნა ახლო აღმოსავლეთში? ამ საკითხებზე მსჯელობს გრიგოლ აბაშიძე თავის რომანში.ჟამთააღმწერელი საქართველოს რთულ მდგომარეობაში ჩავარდნას უკავშირებს იმას, რომ მეფე რუსუდანი დაადგა „ბოროტების გზას“. განცხრომა და უწესობა ჩამოვარდა სამეფო კარზე. მეფემ ძმის უარყოფითი თვისებები შეითვისა და მისი გზა გააგრძელა, სწორედ ამას მიაწერს მემატიანე ქვეყნის ტრაგედიას. გრიგოლ აბაშიძე, გარკვეული თვალსაზრისით, ეყრდნობა ჟამთააღმწერელს და მიაჩნია, რომ საქართველოს სამეფო კარმა არსებულ ვითარებას ალღო ვერ აუღო. სიმდიდრეს და ფუფუნებას მიჩვეული დიდებულები და მეფე ისევ მდიდრულ ცხოვრებას აგრძელებდნენ მაშინ, როცა სხვაგვარად უნდა ეცხოვრათ. გრიგოლ აბაშიძე არ იზიარებს იმ აზრს, რომ, რადგან რუსუდანი ქალი იყო, ამიტომ იგი კარგი მხედართმთავარი ვერ გამოდგა ქვეყნისთვის. მას თამარ მეფე მოჰყავს მაგალითად, რომელიც ქალი იყო და რომლის დროსაც საქართველომ განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. მწერალს სხვა

მიზეზები მოჰყავს, დაუფარავად გვიმხელს მათ. გარკვეულწილად, თამარ მეფესაც ადანაშაულებს. *„ღვთითკურთხეული თამარის სასაყვედუროდ ენა როგორ მომიბრუნდება, მაგრამ შემინდოს მისმა სიწმინდემ და ზოგი რამ მასაც მოეკითხება. ის, რაც თვითონმოიკლო დიდმა თამარმა-ნებივრობა და უზრუნველობა, განცხრომა და განსვენება- თავის მემკვიდრეებს უზომოდ მიანიჭა, აზიზად აღზარდა და მეტისმეტად გაანებივრა.“* [აბაშიძე გრ. 1965: 614] ასევე მოიქცნენ დიდებულებიც, რასაც შედეგად მოჰყვა დარდიმანდი და უზრუნველი თაობის ჩამოყალიბება.

„საქართველო მეტისმეტმა სიმდიდრემ და უზრუნველმა ცხოვრებამ დაღუპა. ქართველებმა დავივიწყეთ, რომ ეს სიმდიდრე ხმლით იყო მოპოვებული და ხმლითვე უნდა დაგვეცვა. ცხოვრების გემოს მივყევით, ლხინსა და შექცევას გადავყევით და ამასობაში ჩვენი სიმდიდრის საძირკველი- ქვეყნის ძლიერება ფეხქვეშ გამოგვეცალა.“ [აბაშიძე გრ. 1965: 614] ამ სიტყვებით მწერლის დამოკიდებულება ქვეყნის რთულ მდგომარეობაში ჩავარდნის მიზეზებისადმი ნათელი ხდება.

XIII საუკუნის I ნახევარი პოლიტიკური ქარტეხილებით გამოირჩევა. სულტან ჯალალ ედ დინის ლაშქრობები, მონღოლთა გამოჩენა პოლიტიკურ ასპარეზზე და მათი დაუნდობლობა- ყველაფერ ამას, საქართველო, რაც არ უნდა ძლიერი სახელმწიფო ყოფილიყო, მაინც ვერ გაუმკლავდებოდა. როდესაც ქართველ მემატიანეს, ჟამთააღმწერელს ვკითხულობთ, ნათელი წარმოდგენა გვექმნება იმაზე, თუ როგორი რთული ვითარება სუფევდა იმ დროის საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. მრავალი ძლიერი სახელმწიფო შთანთქა დამპყრობელმა. მრავალგზის ვახსენეთ, რომ გრიგოლ აბაშიძის უმთავრესი საყრდენი სწორედ ჟამთააღმწერელია, მწერალი, ბუნებრივია, სრულყოფილ წარმოდგენას გვიქმნის იმ ეპოქაზე.იგი ასევე იმოწმებს ხვარაზმშას ისტორიკოსსა და მდივანს ნესევის, რომელიც პერსონაჟადაც კი ჰყავს გამოყვანილი თავის რომანში. ასევე, ერთ მნიშვნელოვან წყაროს მწერლისთვის წარმოადგენს იბნ ალასირი. ეს ისტორიკოსები ამბებსა და ფაქტებს გადმოსცემენ ისე, რომ ჯალალ ედ დინი დადებით კონტექსტში წარმოაჩინონ, რაც შეეხება ჟამთააღმწერელს, იგი, პირიქით, უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებს ხვარაზმშასადმი. გრიგოლ აბაშიძე აჯამებს ყველა მათგანის მონათხრობს და ცდილობს, სინამდვილესთან მიახლოებული

ფაქტები უჩვენოს მკითხველს, განსხვავებით მემატიანეთაგან, რომლებიც, ასე თუ ისე, სუბიექტურნი არიან.

გარნისის ბრძოლა და ქართველთა დამარცხება, ჯალალ ედ დინის მიერ თბილისის აღება, მისი გაძარცვა და განადგურება, ქალაქის დაბრუნება, შემდეგ ხვარაზმელთა გამო თბილისის გადაწვა, ქართველებისა და ხვარაზმელების ბრძოლა ბოლნისთან ახლოს, მონღოლების მიერ ჯალალ ედ დინის დამარცხება და მისი დაღუპვა, მონღოლების შემოსვლა საქართველოში, მათი სისასტიკე, რუსუდანის მიერ თავისი ვაჟის თანამოსაყდრედ დასმა, რუსუდანის გარდაცვალება, ეს ის მოვლენებია, რომლებიც მწერალს ქრონოლოგიური სიზუსტით აქვს აღწერილი. ყველა ეს მოვლენა და მასში მონაწილე გმირები რეალურნი არიან, ყველაფერი ეს ისტორიული ქრონიკებიდანაა გადმოღებული. იმდენად სიზუსტითაა აღწერილი ეს ყოველივე, რომ გვგონია, რომელიმე ისტორიულ მატიანეს ვკითხულობთ და მხოლოდ რომანული ნაწილის ჩანართები გვაფხიზლებს და მოგვაგონებს, რომ ისტორიულ რომანთან გვაქვს საქმე. თუმცა, განსხვავებით ისტორიული პასაჟებისგან, ეს მონათხრობი უფრო რაფინირებული და დახვეწილია, აქცენტი გაკეთებულია გმირთა შინაგან სამყაროზე. მწერალი ეძიებს ყველა მოვლენისა და ფაქტის გამომწვევ მიზეზებს.

გრიგოლ აბაშიძე ცდილობს, დაიცვას თანაფარდობა მხატვრულ გამონაგონსა და ისტორიულ სინამდვილეს შორის, იგი ამ ზღვრამდე მიდის, ძალიან უახლოვდება ისტორიის პერიპეტიებს, თუმცა მალევე უკან იხევს და არც ერთ შემთხვევაში არ აბიჯებს ამ ზღვარს.

ნაწარმოებში რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხია წამოჭრილი, რომელიც იმ დროის მემატიანეთა ინტერესის საგანს წარმოადგენს. მოჰამედ ენ ნესევი ამბობს: *„ერთი ერის ბედნიერება გარდუვლად მეორის უბედურებაზე შენდება.“* ამ მემატიანის ეს სიტყვები სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციით მრავალგზის მეორდება ნაწარმოებში. გრიგოლ აბაშიძე ამ საკითხის განხილვისას მხოლოდ ერთი კონკრეტული დროით არ შემოიფარგლება, იგი თავის ეპოქაზეც ამახვილებს ყურადღებას. მართლა ასეთი მგლური კანონი მეფობს დედამიწაზე? რა თქმა უნდა, არა, რადგან, სადაც ქრისტე ჯვარს ეცვა, სადაც ბუდამ უარი თქვა საკუთარ არსებაზე, სადაც მუჰამედმა ახალი სარწმუნოება იქადაგა, მხოლოდ მტრობა და ბოროტება ვერ იქნება გამეფებული.

ზოგადად, ისტორიული რომანები პერსონაჟთა სიმრავლით გამოირჩევა. გამონაკლისს არც „დიდი ღამე“ წარმოადგენს. ისტორიულად არსებული და გამოგონილი პერსონაჟები ერთმანეთის გვერდით თანაარსებობენ. „ლაშარელაში“ გამონაგონ პერსონაჟთა რიცხვი შედარებით მცირე იყო, ამის გამომწვევი ფაქტორი, ალბათ, ის არის, რომ რომანულ ნაწილს ნაწარმოებში რეალურად მომხდარი ფაქტი უდევს საფუძვლად. რაც შეეხება „დიდ ღამეს“, აქ რომანული ამბავი მთლიანად გამოგონილია და, შესაბამისად, მასში მონაწილე პერსონაჟებიც არარეალური ადამიანები არიან. ისტორიულ გმირთაგან რომანში გვხვდებიან: რუსუდან დედოფალი, ივანე ათაბაგი, შალვა და ივანე ახალციხელები, ავაგ მხარგრძელი, ვარამ გაგელი, მემნა და ბოცო ბოცოსძეები, გოჩი მუხას ძე, მოჰამედ ნესევი, ჯალალ ედ დინი და მისი ვაზირები- შერეფველმოკლი და ორხანი. ამ გმირთაგან მრავალი „ლაშარელადანაა“. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ივანე მხარგრძელი. იგი „ლაშარელაშიც“ გვყავს დახასიათებული, თუმცა აქაც რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვათ მასზე. ივანე მხარგრძელი გარნისის ბრძოლის მნიშვნელოვანი გმირია.ჟამთააღმწერელი მასზე ამბობს, რომ იგი ბერად იყო აღკვეცილი ფარულად, თუმცა, ამის მიუხედავად, იგი ეახლა რუსუდან დედოფალს და ქართველი ჯარის მეთაურობა იკისრა. სულ სხვაგვარ ვერსიას გვთავაზობს გრიგოლ აბაშიძე. იგი აღნიშნავს, რომ ივანე მხარგრძელი გარნისის ბრძოლის შემდგომ აღიკვეცა ბერად და მონასტერში წავიდა. ამ ნაბიჯის გადადგმის მიზეზად მწერალი ასახელებს ცოდვას, რომელიც ქართველი ხალხის წინაშე მიუძღოდა მას. ჟამთააღმწერელი გარნისის ომში დამარცხებას სწორედ ივანე ათაბაგს მიაწერს. *„დაიპყრა ფერჯი ივანე ათაბაგმან, იტყვან შურითა ყო ახალციხელთ შალვა და ივანესითა.“, „ივანე და სპანი ქართველთანი ხედვიდეს ძლიერსა ომსა და არა შეიწყალებდეს თანამონათესავეთა და ერთ რჯულთ ქრისტეს აღმსარებელთა თორელთა და მათ თანამრავალთა სახელოვანთა, არამედ დგეს შორით და არა ინება შველა ივანე ათაბაგმა.* “[ქართლის ცხოვრება ტ.II 1959: 170]

გრიგოლ აბაშიძე, რომელმაც ძალიან კარგად იცის ჟამთააღმწერელის ეს სიტყვები, გარკვეულ კითხვის ნიშნებს სვამს, მკითხველს ერთგვარად ბურუსში ხვევს ამ საკითხთან მიმართებით. მწერალს არ უნდა დაჯერება ივანე ათაბაგის ღალატისა. იგი იზიარებს ივანე ჯავახიშვილის პოზიციას, რომელიც ისტორიკოსს თავისი „ქართველი ერის ისტორიაში“

აქვს გამოთქმული. *„ამირსპასალარს, რომლის სახელსაც საბოლოოდ დამარცხების მთელი სირცხვილი და პასუხისმგებლობა უნდა დასწოლოდა, რა მოსაფიქრებელია, რომ ასეთი უცნაური და უგუნური შურისძიება ეკისრა თავის წინამებრძოლთა სარდლისადმი. ივანე ათაბაგი ხომ ბავშვი არ იყო, რომ არ სცოდნოდა წინამებრძოლთა მოუშველებლობით წაგებული ომი ვის უფრო გაუფუჭებდა სახელს, მას, მთავარსარდალს, თუ მის ხელქვეითს, სარდალს შალვა ახალციხელს.“*[ჯავახიშვილი ივ. 1966: 52]

ივანე ჯავახიშვილი ცდილობს, სხვა მიზეზები იპოვოს, თუ რატომ ვერ მიაშველა დროულად ივანე ათაბაგმა ჯარი წინამებრძოლ სარდლებს. მას მიაჩნია, რომ ამირსპასალარმა საჭირო დროს ვერ მიაშველა ჯარი, შეცდომა მოუვიდა. გრიგოლ აბაშიძეს, გონიერ სარდლად ჰყავს წარმოდგენილი თავის ნაწარმოებში ივანე ამირსპასალარი, ვერ დაუშვებდა, რომ ასეთი მარტივი შეცდომა მოუვიდოდა ბრძოლებში მრავალგზის გამოცდილ მხედართმთავარს. შინაგაცემა, ღალატი- აი, ეს არის გრიგოლ აბაშიძის მიზეზები გარნისის ომის წაგებისა, რომლის მსხვერპლიც თვით ივანე ამირსპასალარი გახდა. აკი შემთხვევით არ ათქმევინებს ამ სიტყვებს მწერალი ივანეს: *„მე ვიყავ ათაბაგი, ბურჯი ტახტისა და ჩემივე აღზრდილი მეფის ძლიერებისა, მე ვიყავ წინამძღოლი ქართველთა ლაშქრისა და ამიტომ ვიდებ თავს ცოდვასა და დანაშაულს, რომლებიც სხვებმა ჩაიდინეს ღალატით, მაგრამ რომელთა გამო მე ვაგებ პასუხს ღვთისა და ერის წინაშე.“*;

„სხვათა ღალატის გამო შევიქენ დამნაშავე ერისა და მეფის წინაშე, უმეცარ ვიყავ შინაგაცემისა, რომლის მიზეზითაც მოიწყლა ურიცხვი ქართველობა და დაემხო ძლიერება საქართველოსი.“[აბაშიძე გრ. 1965: 593]

„ლაშარელას“ მთავარი გმირი, მეფე ლაშა-გიორგი, მიუხედავად იმისა, რომ გარდაცვლილია, რამდენჯერმე მოიხსენიება „დიდ ღამეში“. ლაშა-გიორგი მრავალგზის დავახასიათეთ, როგორც ქართველ მემატიანეთა, ასევე თვით მწერალზე დაყრდნობით. თუმცა არც ერთ მათგანთან იგი წარმოჩენილი არ არის როგორც ძლიერი მეფე. „დიდ ღამეში“ მწერალი რამდენჯერმე ახსენებს სხვადასხვა პერსონაჟის პირით, რომ, ლაშა-გიორგი ცოცხალი რომ ყოფილიყო, საქართველო რთულ მდგომარეობაში არ ჩავარდებოდა და ღირსეულ წინააღმდეგობას გაუწევდა ძლიერ მტრებს.

რადგან ლაშა-გიორგი ვახსენეთ, აუცილებლად უნდა გავამახვილოთ ყურადღება რუსუდან მეფეზეც. იგი, როგორც პერსონაჟი, ნაწარმოებში არ გვხვდება, თუმცა ძალიან ხშირად იხსენიება, ეს ბუნებრივიცაა, რადგან მწერალი რუსუდანის მეფობის პერიოდს აღწერს თავის რომანში. გრიგოლ აბაშიძეს კონკრეტული დახასიათება არ აქვს ნაწარმოებში რუსუდანისა. იგი მხოლოდ გაკვრით ეხება, თუ როგორ არ შეასრულა რუსუდანმა თავის ძმის ანდერძი და როგორ გაიმეტა ლაშას ძე დავითი სასიკვდილოდ. მწერალს კანონიერ მემკვიდრედ ლაშას ძე, დავითი, მიაჩნია. მიუხედავად იმისა, რომ ლაშა კანონიერ ქორწინებაში არ იყო, დავითი მაინც ქრისტიანი ქალის შვილი გახლდათ, ხოლო რუსუდანის ვაჟი დავითი, მაჰმადიანი და მოღალატე მოღასედინის შვილი იყო. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ის, რომ მეფობა მას ეკუთვნის, ვინც კანონიერ ქორწინებაშია დაბადებული. მწერალი უარყოფითად აფასებს ძმის ანდერძის დარღვევას რუსუდანის მიერ. თუმცა ისეთი მკაცრი არ არის, როგორც ჟამთააღმწერელი.

რუსუდან მეფეს შემდეგნაირად ახასიათებს ჟამთააღმწერელი :*„იყო რუსუდან ხილვითა შუენიერი, ვითა დედა მისი, მდაბალი, უხვ, პატივისმცემელი, პატიოსანთა კაცთა მოყვარე. ამან მოაწყო ყოველი საბრძანებელი და მეფობა მშვდობით, და აღივსო ყოველი სამეფო რუსუდანისა ყოვლითა კეთილითა.“* [ქართლის ცხოვრება ტ. II 1959: 168], დაახლოებით ასეთ პიროვნებად არის წარმოჩენილი ნაწარმოებში რუსუდან მეფე.

ქართველ და უცხოელ ისტორიკოსთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა რუსუდანის ქორწინებასთან დაკავშირებით. საინტერესოა, თუ რომელ მოსაზრებას იზიარებს გრიგოლ აბაშიძე. ჟამთააღმწერელი შემდგომ რამეს ამბობს: *„ამათ ჟამთა შინა მოეყუანა მეფესა რუსუდანსტოღრილის შვილი მძევლად ერთგულობისათვის, რომელ კეთილ იყო და სრული ასაკითა, შვენიერი გვამითა, მჯნე და ძლიერი ძალითა. ვითარ განიცადა სთნა მეფესა რუსუდანს და ინება ქმრად მიყუანება მისი, რომელი აღასრულაცა და იქორწილა ტოღრილის შვილი, რომლისაგან იშვა ასული სიტურფე აღმატებული და უწოდა სახელი სანატრელისა დედისა მათისა თამარ და კვალად მიუდგა და შვა ძე და უწოდა დავით.“* [ქართლის ცხოვრება ტ. II 1959:172] ჟამთააღმწერელი არაფერს ამბობს რუსუდანის პირველი ქორწინების შესახებ, მასზე არც არაბი ისტორიკოსები არიან ინფორმირებულნი, თუმცა ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ რუსუდანი ერთხელ უკვე იყო გათხოვილი

შირვანშაჰზე. ამის შესახებ კი თანამედროვე მემატიანისგან იცის. ჩვენს საკითხთან მიმართებით ყურადსაღებია არაბი ისტორიკოსის, აბულ-ფედას ერთი საინტერესო ცნობა, რომელიც ივანე ჯავახიშვილს აქვს თავის ნაშრომში მოყვანილი: *„რუსუდან მეფეს ერთი განძელი მაჰმადიანი უყვარდა, რომელსაც თუმცა ბევრი ეხვეწა, და ემუდარა, საჩუქრებითაც ავსებდა, ოღონდ მაჰმადიანობაზე უარი ეთქვა და გაქრისტიანებულიყო, მაგრამ ვერას გზით ვერ დაიყოლია და მუსლიმანობაზე ხელი ვერ ააღებინაო.“* [ჯავახიშვილი ივ. 1966: 42] აქედან გამომდინარე, რუსუდანს ამ განძელ მაჰმადიანთან მესამე და სერიოზული სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა, იმდენად სერიოზული, რომ ცოლადაც გაჰყვებოდა, ქრისტიანობა რომ მიეღო.

ამ საკითხთან დაკავშირებით თავისებურ ვერსიას ქმნის გრიგოლ აბაშიძე. იგი, როგორც ყოველთვის, ეყრდნობა ჟამთააღმწერელს, ამავე დროს, უცხოელ მემატიანეთა ცნობებსაც არ ტოვებს უყურადღებოდ. რუსუდანის პირველი ქორწინების შესახებ არაფერს ამბობს მწერალი. იგი მეორე ქორწინებაზე საუბრისას ჟამთააღმწერელს ეყრდნობა და მიაჩნია, რომ მისი მეორე მეუღლე ტოღრილის შვილი მოღის- ედ- დინი იყო, სწორედ მისგან შეეძინა დავითი და თამარი. გრიგოლ აბაშიძე ჩვენ მიერ მოყვანილ აბულ- ფედას ცნობას იზიარებს და *ამბობს: „რუსუდან დედოფალს თბილისში ჰყავდა მძევლად შირვანშას ერთ-ერთი შვილი, ვაჟკაცობითა და სილამაზით განთქმული სულტანშა. დედოფალს თავდავიწყებით უყვარდა ეს ზრდილი და მოხდენილი ჭაბუკი. დარბაზისგან პირველი ქმრის, მოღასედინის გაყრის დასტური უკვე ჰქონდა და ჯალალ ედ დინი რომ არ გამოჩენილიყო, სულტანშას ამდენხანს შეეუღლებოდა.“* [აბაშიძე გრ. 1965: 471] რუსუდანის პირველ ქორწინებად მოღასედინთან ურთიერთობას თვლის მწერალი, აქედან გამომდინარე, ერთ კანონიერ ქორწინებაში მყოფად გვიჩვენებს მეფეს. შირვანშაჰი, რომელიც პირველი მეუღლე იყო რუსუდანისა, მწერალს წარმოჩენილი ჰყავს, როგორც რუსუდანის საყვარელი.

ივანე მხარგრძელზე ბევრი ვისაუბრეთ. მისი ყველა თანამდებობა და ქონება უკლებლივ გადაეცა მის ვაჟს- ავაგ მხარგრძელს. ავაგი გრიგოლ აბაშიძეს დიდებულთა და თავადაზნაურთა ერთგვარ სახედ ჰყავს გამოყვანილი. საქართველოს სამეფო კარის პირველი პირი, რომელიც სხვა დიდებულთათვის მაგალითის მიმცემი უნდა ყოფილიყო,

პირიქით, ფუქსავატური ცხოვრებით ცხოვრობდა, ადეკვატურად ვერ აფასებდა შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას. მას არ ჰქონდა ნიჭი ამირსპასალარობისა და ეს ბუნებრივიცაა, რადგან ეს ნიჭი მემკვიდრეობით არ გადადის. სწორედ ამიტომ გრიგოლ აბაშიძე აკრიტიკებს მაშინდელ სამეფო კარს და მიაჩნია, რომ ისეთი საპასუხისმგებლო საქმე, როგორიც ამირსპასალარობაა, მემკვიდრეობით არ უნდა გადასულიყო. ასეთი ლაფსუსები რომ ხდებოდა, სწორედ ეს აყენებდა ქვეყანას რთულ სიტუაციაში, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური და სოციალური კუთხით. ჯალალ ედ დინის შემოსევის დროს საქართველოში ჯერ კიდევ თამარის დროინდელი დიდებულები იყვნენ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მხცოვანები გახლდნენ, მაინც ახერხებდნენ ასე თუ ისე ქვეყნისთვის დადებითი ნაბიჯების გადადგმას. მას შემდეგ, რაც ახალმა თაობამ დაიკავა სამოღვაწეო ასპარეზი, საქართველოს გაუჭირდა. ან არ, ან ვერ ხედავდნენ როგორ რთულ ვითარებაში იყო ქვეყანა, უძლიერეს მტერთან, მონღოლებთან გაერთიანებული ბრძოლის მაგივრად დაიქსაქსა და საკუთარ თავზე დაიწყო ზრუნვა. გულუბრყვილობა, სიბეცე, მაამებლობა, მლიქვნელობა, პირმოთნეობა ეს ის თვისებებია, რომლითაც მაშინდელი დიდებულები გამოირჩეოდნენ. ჟამთააღმწერელის მონათხრობიდანაც ძალიან კარგად ჩანს ეს ყველაფერი, თუმცა გრიგოლ აბაშიძემ კიდევ უფრო გაამწვავა და ნათელი სურათი შექმნა მაშინდელი ყოფისა. იგი ერთგვარ მაგალითს გვაძლევს, მაგალითს იმისა, რომ მსგავსი შეცდომა, რასაც მაშინ სახელმწიფოს მართვის სისტემაში მყოფი ადამიანები სჩადიოდნენ, აღარ განმეორდეს საქართველოს ისტორიაში. ასეთი შეცდომები გამოიწვევს „დიდი ღამის“ ჩამოწოლას და არავინ იცის, თუ როდის მოჰყვება ამ ღამეს დღე.

გრიგოლ აბაშიძე, მსგავსად „ლაშარელასი“, ამ რომანშიც მხატვრული სიტყვის ოსტატობას ამჟღავნებს. იგი მრავალფერ საღებავს იყენებს საქართველოს პეიზაჟების დასახატად. იმდენადრეალისტურად აღწერს ისტორიულ მოვლენებსა და ფაქტებს, რომ ხშირად ვწყდებით რეალობას და მწერლის მიერ შექმნილ სამყაროში გადავდივართ. ავტორის მიერ გადმოცემული ეს მოვლენები რეალურად არსებობენ ისტორიის ფურცლებზე, თუმცა ისინი რელიეფურნი არიან, ფურცლის მხოლოდ ერთ მხარეს ვუყურებთ, მწერლის მიზანი კი ის გახლავთ, რომ აჩვენოს მეორე მხარე, სხვადასხვა

რაკურსით დაგვანახოს ისინი. მკითხველი იღებს ინფორმაციას გარდასული მოვლენების შესახებ, ამასთანავე იგი მშვენიერი მხატვრული ტექსტებით ტკბება.

მხატვრულ გამონაგონს ტექსტში მთლიანად წარმოადგენს რომანული ნაწილი. შესაბამისად, ყველანი გამოგონილი პერსონაჟები არიან, რომელნიც დაბალ სოციალურ ფენას განეკუთვნებიან. ეს კი შემთხვევითი ფაქტი არ არის და მწერალი გამიზნულად მიდის ამ გზაზე, რათა მკითხველს აჩვენოს ის, თუ დიდებულნი გადაგვარების გზას ადგანან, რა ხდება ქვეყნის მოსახლეობის სხვა, დაბალ ფენაში. კიდევ ერთი ფაქტი იპყრობს ჩვენს ყურადღებას. გამოგონილი პერსონაჟების დიდი ნაწილი ხელოვნების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელნი არიან. აქ გვხვდებიან: მხატვრები, მემატიანენი, პოეტები, ოქრომჭედლები. მათი გრძნობები, ფიქრები, ცნობიერში მიმდინარე მოვლენები იმდენად ღრმად აქვს გრიგოლ აბაშიძეს ნაჩვენები, რომ რეალურ ადამიანებად წარმოგვიდგენია ისინი.

ვაჩე გრძელიშვილი, მხატვართუხუცესი დემეტრე იყალთოელი, პავლია კუტი, მამუკა ოქრომჭედელი, თურმან თორელი, ცაგო, ლელა- ესენი არ არიან მხოლოდ კონკრეტული პერსონაჟები, არამედ განზოგადებულ სახეს გამოხატავენ მაშინდელი ქართული საზოგადოებისა, რომლის შესახებაც მემატიანე არაფერს ამბობს. ქვეყნის სიყვარული, მისთვის თავგანწირვა, კალმისა და საჭრეთლის გვერდზე გადადება და ხმლის ხელში აღება, როდესაც საქმე სამშობლოს ეხება, ქვეყნის ღირსებისათვის ბრძოლა ამ პერსონაჟებს სისხლსა და ხორცში აქვთ გამჯდარი. ისინი ერთგვარ ანტისახეს წარმოადგენენ სამეფო კარზე მყოფი ადამიანებისა. მწერალი იმედსა და ოპტიმისტურ განწყობას სწორედ საზოგადოების ამ ნაწილზე ამყარებს. მწერალმა ქართული საზოგადოების ორი მხარე გვიჩვენა, ერთი- დადებითი, რომელსაც გამოგონილი პერსონაჟები მიეკუთვნებიან და მეორე- უარყოფითი, რომელსაც თავადაზნაურთა ფენა წარმოადგენს. რა თქმა უნდა, მწერალი პირველი მხარისკენ იხრება.

გამოგონილ პერსონაჟთაგან საინტერესო სახეა ვაჩე გრძელიშვილი. იგი მხატვარია. გრიგოლ აბაშიძეს მიაჩნია, რომ მხატვარი „ღმერთის თვალებია“ დედამიწაზე. ჯალალ ედ დინი ვაჩეს თვალებს დასთხრის და უსინათლოდ დატოვებს. უსინათლო მხატვარი სიმბოლოა იმისა, რომ საქართველოში იმდენად საშინელი ვითარება იყო, რომ

ღმერთს ამის დანახვაც კი არ უნდოდა. ღმერთის თვალებში, რომელსაც ვაჩე გრძელიშვილი წარმოადგენდა სწორედ ამიტომ ჩაქრა დღის შუქი სამუდამოდ. ვაჩესთვის სამუდამოდ დაღამდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქვეყნისთვისაც ჩამოწვა მარადიული ღამე, რადგან კიდევ დაიბადება სხვა მხატვარი, რომლითაც ღმერთი ახალ და გაბრწყინებულ საქართველოს დაინახავს.

ძალიან საინტერესოა რომანის ფინალი. თუ მთელი ნაწარმოების განმავლობაში, სადაც აღწერილი იყო ქართველთა სისუსტე ძლიერ მტარვალთა მიმართ, პესიმისტური განწყობა სჭარბობდა, ფინალში ეს განწყობა მთლიანად იცვლება ოპტიმიზმით. მწერალს სწამს, რომ საქართველოში ღამე აუცილებლად შეიცვლება დღით და ამ შეცვლაში ყველაზე დიდ როლს სწორედ ხალხი შეასრულებს.

შემთხვევითი არ არის ნაწარმოების ბოლოს გორგასლიანი დროშის გამოჩენა, რომელიც ახალი თაობის ადამიანებს უჭირავთ ხელთ. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ მწერალმა იცის ისტორიის განვითარება შემდგომ საუკუნეებში, უნდა ჩავთვალოთ, რომ ეს ოპტიმისტური განწყობა უფრო თავის თანამედროვე ეპოქას განეკუთვნება. მებრძოლი, პატრიოტი და ქვეყნისთვის თავდადებული თაობა ღამეს აუცილებლად გაათენებს.

თავი III

გრიგოლ აბაშიძის რომანი „ცოტნე, ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება“

გრიგოლ აბაშიძის ტრილოგიის მესამე ისტორიული რომანი არის „ცოტნე, ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება“, იგი 1975 წელს გამოქვეყნდა და ქართველ მკითხველს მიეცა საშუალება, ამ ახალ რომანს გაცნობოდა. სათაურიდან გამომდინარე, კითხვის ნიშანი არ ჩნდება, ყველასთვის ადვილი მისახვედრია, რომ ზემოთ ნახსენები ისტორიული რომანი ცოტნე დადიანის გმირობას ეხება. თუ „ლაშარელასა“ და „დიდ ღამეს“ არ აქვს წინასიტყვა, მწერალმა მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ ტრილოგიის მესამე ნაწილისთვის დაერთო იგი. ეს წინასიტყვა ერთგვარი გასაღებია, რომლის წაკითხვის შემდეგ ნათელი ხდება, თუ რა არის რომანში ისტორიული სინამდვილე და რა- მხატვრული გამონაგონი. მწერალი აჯამებს იმ სამუშაოებს, რაც ამ ნაწარმოებზე გასწია. *„ქართლის ცხოვრების“ ამ მომხიბლავი მოთხრობის კითხვისას, ალბათ ბევრს აღძვრია სურვილი მოეთხრო იგი ვრცლად და დაწვრილებით, ყველა სახისა და დეტალის სრული გადმოცემით. ამ სურვილით მეც დიდხანს ვიყავი შეპყრობილი, მაგრამ, როცა ცოტნეს თავგადასავლის ვრცლად და ჩემებურად მოთხრობისათვის თავი მზად ვიგრძენი, ჩემს წინაშე დადგა ამოცანა- მეჩვენებინა გმირი მისი ადამიანობის ყველაზე დიდი გამოცდის ჟამს. ამ გადაწყვეტილებამ მიკარნახა ჩემს მოთხრობაში მთავარი ადგილი დამეთმო ცოტნეს ბავშვობისა და ყრმობისთვის, იმ სოციალური გარემოსათვის, რამაც მისი ხასიათი ჩამოაყალიბა და მომავალი გმირი თავისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ნაბიჯის გადასადგმელად მოამზადა.“; „ამ წიგნს იმის პრეტენზია არა აქვს, შეავსოს ჟამთააღმწერლის მიერ კონსპექტურად გადმოცემული ცოტნეს თავგადასავლის ყველა ხარვეზი, სრულად აღადგინოს და აჩვენოს,თუ როგორ მოხდა სინამდვილეში ყველაფერი.*“[აბაშიძე გრ. 1982: 5]

გარდა ამ წინასიტყვისა, რომანს ეპიგრაფად აქვს წარმძღვანებული პასაჟი ჟამთააღმწერლის მონათხრობიდან, სადაც აღწერილია ცოტნე დადიანისა და კოხტასთავისშეთქმულთა თავგადასავალი. ეს არის ძალიან მოკლე ცნობა, რომელიც კი მოგვეპოვება ამ ამბავზე, თუმცა, ასე თუ ისე, გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის მომხდარ

ფაქტზე. არსებობს სხვა, უცხოელი ავტორების ცნობებიც კოხტასთავის შეთქმულებისა და ცოტნე დადიანის გმირობაზე. ეს ამბავი შემოგვინახა ყარაყორუმის კარზე მყოფმა იტალიელმა მისიონერმა, წმინდა ფრანჩესკო ასიზელის სიყრმის მეგობარმა პლანო კარპინიმ. გარდა ჟამთააღმწერელის ცნობისა, გრიგოლ აბაშიძე ეყრდნობა ამ უკანასკნელი მემატიანის ცნობებსაც. თუმცა ძირითადი საყრდენი ისტორიული კუთხით ამ რომანისა არის სწორედ ჟამთააღმწერელი. მწერალი წინათქმაში აღნიშნავს, რომ იგი არ ცდილობს ჟამთააღმწერლის მიერ დატოვებული სიცარიელის შევსებას, თუმცა სხვა რამეს გვიმტკიცებს თვით ნაწარმოები, სადაც მრავალგან შევხვდებით ამ „სიცარიელეების“ შევსებისა და ხარვეზების გამოსწორების ცდებს. აი, მაგალითად: ჟამთააღმწერელი არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ ვინ გასცა კოხტასთავის შეთქმულება, უბრალოდ, აღნიშნავს, რომ იგი ღალატის გამო იქნა გათქმული.*„გამცემის ვინაობა უცნობია. სავარაუდოა, რომ შეთქმულები ერთმანეთზე ეჭვიანობდნენ, რომ განთავისუფლების შემდეგ, გაერთიანების ნაცვლად, ურთიერთს დაუპირისპირდნენ. „და განიყვეს მთავარნი საქართველოსანი, და წინააღმდგომ იქნეს ურთიერთს“. ჯაშუშის სახე დამაჯერებლად წარმოსახა გრიგოლ აბაშიძემ თავის რომანში. ეს იყო ციხის უფროსის ცოლი, ბერძნული წარმოშობის ყოფილი როსკიპი ასპასია. ეს მხატვრული გამონაგონი ორგანულად ერწყმის ისტორიას, სადაც გამცემი არ ჩანს.“*[ლიტერატურული მესხეთი 2002: 5]მწერლმა არ იცის, სინამდვილეში რა მოხდა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ბუნდოვანება ამ საკითხთან დაკავშირებით ეხამუშება და თავისი რომანით ცდილობს ქართველ საზოგადოებას ის სიცარიელის გრძნობა არ დაეუფლოს, რაც მას. რადგან ეს ფაქტი აღვნიშნეთ, აუცილებლად უნდა ვთქვათ, რომ მოღალატედ მწერალმა არა ქართველი, არამედ უცხოელი გამოიყვანა. ეს შემთხვევითი არ არის, რადგან ისტორიას რომ გადავხედოთ, როგორც წესი, მოღალატეები, ისევ ქართველები არიან ხოლმე. მწერალი ამით მიგვითითებს იმაზე, რომ ღალატის სირცხვილი მხოლოდ ქართველების კისერზე არ არის, საქართველო, ხშირად უცხოელებს გაუწირავთ.

ნაწარმოები ერთ კონკრეტულ ეპოქას არ ეხება, აქ გადმოცემულია ეპოქათა მიჯნა, დაწყებული თამარ მეფის დროიდან და დამთავრებული მონღოლების ბატონობით. „ლაშარელასა“ და „დიდი ღამის“ პერიოდში მომხდარი მნიშვნელოვანი ფაქტების

შეჯამებას წარმოადგენს „ცოტნე, ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება“. თუ ზემოთ აღნიშნულ ორ რომანს დასრულებული სახე არ აქვს და დატოვებულია ღია ფინალი, ეს უკანასკნელი ნაწარმოები ამას ყველაფერს ავსებს და სრულყოფილებას ანიჭებს. აი, თუნდაც „ლაშარელა“, რომელშიც მთლიანად ლაშა-გიორგისა და მისი დროინდელი ეპოქაა აღწერილი, მაგრამ მწერალი არაფერს ამბობს ლაშას გარდაცვალებაზე. ამის შესახებ მხოლოდ და მხოლოდ „ცოტნე, ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლებაში“ საუბრობს. ისტორიულად უცნობია, თუ რით და რატომ გარდაიცვალა ლაშა-გიორგი. ივანე ჯავახიშვილი ლაშა-გიორგის გარდაცვალებაზე გარკვეულ კითხვის ნიშნებს სვამს. მას იგი სხვათა მიერ მოკლულად მიაჩნია, მაგრამ, ვინ შეიძლება იყოს ამის ჩამდენი, ამაზე არაფერს ამბობს. რაც შეეხება ჟამთააღმწერელსა და ლაშა- გიორგის დროინელ მემატიანეს, ისინი მხოლოდ ფაქტის აღნიშვნით შემოიფარგლებიან და სხვას არაფერს მიუთითებენ. გრიგოლ აბაშიძე ბუნდოვანებას სძენს თავის ამ უკანასკნელ რომანში ლაშას გარდაცვალებას. იგი ორ ვერსიას გვთავაზობს, ერთის მიხედვით, ლაშა-გიორგი მოკლეს, მეორის მიხედვით კი, ის უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა. იგი არჩევნის საშუალებას მკითხველს აძლევს. თუმცა, უკეთესი იქნებოდა, ერთი რომელიმე ვერსია გაეზიარებინა, შემდგომ დაესაბუთებინა და ამით თავისი დამოკიდებულება ეჩვენებინა მკითხველისთვის.

ძირითადი პერიოდი კი ნაწარმოებში მაინც მონღოლთა ბატონობაა. ჟამთააღმწერელი ძალიან მკაფიოდ გადმოგვცემს იმ რთულ და გაუსაძლის ვითარებას, რაშიც მონღოლებმა ქართველი ხალხი ჩააგდეს. გრიგოლ აბაშიძე მემატიანეზე დაყრდნობით მძაფრად აღგვიწერს იმ პერიოდის საქართველოს ვითარებას.

„მძიმე ხარკი აუტანელ ტვირთად აწვა მოსახლეობას, ხალხის მიერ შექმნილი დოვლათი მონგოლთა გადასახადს ვერ აუდიოდა, ქვეყანა ღარიბდებოდა და უკან-უკან მიდიოდა. მაგრამ მეურნეობის მოშლა და ხარკი იმდენად არ ამწარებდა ხალხს, როგორც მონგოლთაგან დაწესებული სამხედრო ბეგარა. ყოველ ათ სულზე ორი სული მეომარი უნდა გამოეყვანა საქართველოს.“; „უმეფო, ცალკე სამთავროებად დაქსაქსულ ქვეყანას მოსვენება არ ჰქონდა. ვისაც არ ეზარებოდა, ყველა საქართველოს აწიოკებდა, მონგოლებს დაპყრობილი ქვეყნის დაცვა არ ენაღვლებოდათ და, ყველა კუთხე მხოლოდ თავისი თავის იმედით უმკლავდებოდა მოსულ მტრებს.“[აბაშიძე გრ. 1982: 271] ეს და

კიდევ უამრავი ციტატა ნაწარმოებში იმ მწვავე ვითარებას გადმოგვცემს, რომელიც გახდა ბიძგის მიმცემი კოხტასთავის შეთქმულებისა. ქართველები გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და გადაწყვიტეს პროტესტის უმაღლესი ფორმისთვის მიემართათ. ამა თუ იმ კუთხის მთავრების გარკვეული ნაწილი აღმოჩნდა შეთქმულებაში ჩართული. უმძიმესმა ვითარებამაც კი ვერ გახადა ქართველები ერთსულოვანნი. საქართველოს გავლენიანმა მთავრებმა ამ შეთქმულების განწირულობა თავიდანვე დაინახეს და უარი გამოაცხადეს მასში ჩართვაზე.

თუ „ლაშარელა“ და „დიდი ღამე“ პატრიოტული სულისკვეთებით გამორჩეული რომანებია, ტრილოგიის მესამე ნაწილი ამ კუთხით ბევრად აღემატება მათ. შეიძლება ითქვას, ზედმეტიც კი მოუვიდა ავტორს. თუმცა, ერთი რამ არ უნდა დაგვავიწყდეს, მწერლის მიზანი თავისი ეპოქის საქართველოს გამოღვიძება და ეროვნული თვითშეგნების ამაღლებაა. ცოტნეს გმირობის ამბავიც შემთხვევით არ გაუხდია თავის აღწერის საგნად.

გრიგოლ აბაშიძე ეძიებს მიზეზებს, თუ რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი ისეთი გმირის ჩამოყალიბებას, როგორიც ცოტნე იყო. მას ეს გარემოებები და ფაქტორები დაწვრილებით აქვს გადმოცემული რომანში. პატრიოტული გარემო, ქვეყნის მოყვარულ და ერთგულ ადამიანთა შორის ყოფნა, რელიგიურ პირთა გავლენა, საქართველოს ძლიერ მეფეებთან ურთიერთობა -ყველა ამ ფაქტორმა შეუწყო ხელი ცოტნეს, როგორც გმირის, როგორც ქვეყნის ერთგული პიროვნების ჩამოყალიბებას. მწერალი, რომელმაც ზუსტად არ იცის, თუ როგორ გარემოში იზრდებოდა ცოტნე დადიანი, დარწმუნებულია, რომ პიროვნების ჩამოყალიბება ზემოთ ნახსენებმა ფაქტორებმა განაპირობეს.

ნაწარმოების დასაწყისიდან ხშირად გვხვდება მითი კავკასიონზე მიჯაჭვული ამირანისა. ორი აზრიც არ არსებობს, რომ ამირანში ცოტნე იგულისხმება, არწივში კი, რომელიც ამირანს გულ-ღვიძლს აცლის- მონღოლები.*„ჰეროიკა, რაინდული სული, რითაც გაჟღენთილია ჩვენი ძველი მწერლობა, უწინარესად კი „ქართლის ცხოვრების“ ფურცლები ბუნებრივ გაგრძელებას ჰპოვებს „ცოტნეშიც“, ოღონდ ავტორი უფრო სხვა შტრიხებს წამოწევს იდეალურად დასახული გმირის ხატვისას. ცოტნე უფრო ზნეობრივი, სულიერი საწყისის პიროვნებად წარმოგვიდგება, რაც ასე ბეჯითადაა ხაზგასმული რომანში. ამიტომ არის, მაგალითად, ასე ხშირად მოხმობილი ამირანისა და ქრისტეს მარადიული*

სახეები, რაც ძალზე საინტერესო სიმბოლური მინიშნებებით ამდიდრებს იმ ინტელექტუალურ სამყაროს, რომელშიც იწრთობა და გონებრივად ყალიბდება რომანის უპირველესი გმირი. ყოველივე ესკი, სხვა კომპონენტებთან ერთად დამაჯერებელს ხდის გმირის სულიერი ფერისცვალების გზას.“[ცაიშვილი ს. 1990 : 451]

გრიგოლ აბაშიძე ქრონოლოგიურად მიჰყვება და ჯერ ცოტნე დადიანის ბავშვობის შესახებ გვესაუბრება, შემდგომ -მოზრდილობის, ბოლოს კი მისი გმირობის ამბავსაც გადმოგვცემს და აქ წყვეტს ცოტნე დადიანის ცხოვრების ამბავს, ჟამთააღმწერელი კი მხოლოდ ცოტნეს გმირობაზე გვიყვება, იგი არც მის მანამდელ და არც შემდგომ ცხოვრებაზე არაფერს ამბობს. ვფიქრობ, ეს გამიზნული ნაბიჯია მემატიანის მხრიდან.*„კოხტასთავის შეთქმულება და ცოტნეს გმირობა ლეგენდარულსა და რომანტიკულ საბურველში გაეხვა და ჟამთააღმწერელმა ამ ხიბლის შენარჩუნება სცადა, ცოტნე დადიანიც და სხვა შეთქმულნიც იდუმალებიდან უნდა მოსულიყვნენ და იდუმალებაში ჩაძირულიყვნენ: ასეთი გააზრება ყოველთვის ჰქმნის ლეგენდის მხატვრულ ილუზიას, რასაც მხოლოდ გააფერმკრთალებს ბიოგრაფიული ცნობები და, მით უფრო, მათი სიუხვე.“*[ჩხეიძე რ. 2013:118]

აქ საინტერესო და საყურადღებო ციტატას მოვიყვან, რომელიც ხშირად მეორდება და ძალიან დიდი დატვირთვა აქვს მინიჭებული მწერლის მიერ: *„ცხოვრებაში დგება ხოლმე გადამწყვეტი, საბედისწერო წამი. იმ წამს მიღებულ გადაწყვეტილებაზე ხშირად არა მარტო ერთი კაცის ბედია დამოკიდებული, არამედ მთელი ერის ღირსება და მომავალიც. დიდბუნოვან ადამიანებს იმ საბედისწერო წამს შინაგანი ხმა თუ ზეგარდმო შთაგონება ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებას მიაღებინებს ხოლმე და მათი ეს ნაბიჯი შემდგომ თაობებს საამაყოდ და თავის მოსაწონებლად რჩება. პიროვნებისა და მთელი ერისათვის ამგვარი საბედისწერო წამი მხოლოდ რჩეულთ ცხოვრებაში დგება.“*[აბაშიძე გრ. 1982 109] ასეთ რჩეულად ყოფნა ცოტნე დადიანს ნამდვილად ხვდა წილად.

მთელი ნაწარმოები, როგორც მრავალჯერ ვახსენეთ, ცოტნე დადიანსა და მის გმირობას ეხება. ცოტნე მხოლოდ დადებითი თვისებებით გამორჩეული პერსონაჟია. როგორც როსტომ ჩხეიძე აღნიშნავს, იგი რომანტიკულ გმირადაა გააზრებული. სწორედ ამიტომაა, რომ ნაწარმოებში ის ნაკლებ ყურადღებას იპყრობს. რეალიზმს შეჩვეულ

მწერალს გაუჭირდა რომანტიკული გმირის შექმნა.თუ ცოტნე დადიანი რომანტიკულ ელფერში გახვეული პერსონაჟია, სამაგიეროდ, ნაწარმოებში გვხვდებიან რეალისტური ფერებით დახატული გმირებიც. გრიგოლ აბაშიძემ ცალკეული თავები მიუძღვნა კოხტასთავის შეთქმულების მონაწილე სხვა ადამიანებს, როგორებიც არიან: ეგასლან ბაკურციხელი, თორღვა პანკელი, გრიგოლ სურამელი. ცალკე თავი არა, მაგრამ საკმაოდ ვრცლად საუბრობს მწერალი ყუარყუარე ჯაყელის შესახებ. ეს პიროვნებანი ჟამთააღმწერელთანაც იხსენიებიან: *„ამათ შეოთთა შეკრბეს ყოველნი მთავარნი საქართველოსანი კოხტას თავსა, იმერნი და ამერნი: ეგასლან, ცოტნე დადიანი, ვარამ გაგელი, ყუარყუარე, კუპრი შოთა, თორღვაი, ჰერ კახნი, ქართველნი, თორელ-გამრეკელი, სარგის თმოგუელი, მესხნი და ტაოელნი.“*[ქართლის ცხოვრება ტ. II 1959: 215]

რომანში ჩართული თითოეული ეს თავი ცალკე, დამოუკიდებელ ნოველას წარმოადგენს, რომელსაც თავისი სათქმელი აქვს. *„უნდა ითქვას, რომ ეს ნოველები რომანის მრავალწლიან ქსოვილში განსაკუთრებით გამოირჩევიან და მეტყველებენ ავტორის ჩინებულ ოსტატობაზე. ყოველ მათგანს რაღაც ერთი გარკვეული აზრი, იდეა აშუქებს და ამასთან ახალი შტრიხებით ამდიდრებენ რომანში წარმოდგენილ მხატვრულ სინამდვილეს.“* [ცაიშვილი ს. 1990: 451] აი, მაგალითად: ეგასლან ბაკურციხელზეჟამთააღმწერელი სულ ორიოდე პასაჟს გადმოგვცემს, საიდანაც ირკვევა, რომ ის გახლდათ რთული ბუნების ადამიანი. გრიგოლ აბაშიძემ კი ჟამთააღმწერელზე დაყრდნობით, შთამბეჭდავი ფერებით წარმოსახა გაორებული პიროვნების პორტრეტი. როსტომ ჩხეიძე აღნიშნავს, რომ გრიგოლ აბაშიძეს ცოტნე დადიანისთვის მხოლოდ ერთი, ცალკე თავი უნდა მიეძღვნა და არა მთლიანი რომანი. ამასთანავე, ისიც რეალისტური ფერებით უნდა დაეხატა, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ რამდენიმე მიზეზი, თუ რატომ ვერ გააკეთებდა მწერალი ამას.პირველ რიგში, ნაწარმოებს ვერ ერქმეოდა ის სახელი, რაც ახლა აქვს. ცოტნე დადიანზე ძალზედ მწირი ცნობები არსებობს, ეს გმირი მთლიანად ლეგენდარულ საბურველშია გახვეული. მასზე მხოლოდ დადებითის თქმა შეეძლო მწერალს, შესაბამისად, რეალისტურ პიროვნებად ვერ წარმოგვიჩენდა, ისე, როგორც ეგასლან ბაკურციხელს, ან, თუნდაც, თორღვა პანკელს.

ძირითადი ნაწილი რომანისა ისტორიული ცნობებითა და გამოკვლევებითაა გაჟღენთილი, თუმცა მცირე, მაგრამ მაინც საყურადღებო ადგილი აქვს დათმობილი რომანულ ნაწილს, რომელიც მთლიანად მხატვრული გამონაგონი და მწერლის ფანტაზიის ნაყოფია. იგი გვერდს ვერ აუვლიდა ცოტნე დადიანის სიყვარულის ისტორიას, მის ქორწინებას. არც ჟამთააღმწერელი და არც სხვა უცხოელი მემატიანენი, როგორებიც არიან : კირაკოს განძაკელი და პლანო კარპინი, რომელთაც მოთხრობილი აქვთ კოხტასთავის შეთქმულების შესახებ და რომელნიც ცოტნე დადიანს ხშირად ახსენებენ, არაფერს ამბობენ მის პირად ცხოვრებაზე, მეუღლეზე, ოჯახზე. გრიგოლ აბაშიძე ცოტნე დადიანის მეუღლედ ასახელებს კრავაი ჯაყელს. კრავაი ჯაყელი კი, როგორც ისტორიიდანაა ცნობილი, XII საუკუნის II ნახევრის პოლიტიკური მოღვაწეა. იგი ცნობილია იმ ფაქტით, რომ თამარ მეფემ ის ხუაშაქ ცოქალთან ერთად გაგზავნა ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის დროს მოსალაპარაკებლად. რეალურად კრავაი ჯაყელი ვერ იქნებოდა ცოტნე დადიანის მეუღლე, რადგან ისინი სხვადასხვა ეპოქაში ცხოვრობდნენ. ცოტნე დადიანი- XIII, ხოლო კრავაი ჯაყელი- XII საუკუნეში.

„ცოტნე, ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება“ რომანის სრული სათაური ასე ჟღერს რომანისა. ცოტნეს გმირობამდე საქართველო დაცემული, მონღოლთა ფეხქვეშ გაგებული იყო, ცოტნეს გმირობის შემდგომ კი იგი ამაღლდა, განქარდა მანამდე არსებული წყვდიადი. ეს ნაწარმოები, ტრილოგიის პირველი ორი რომანისგან განსხვავებით, ნაკლებად პოპულარულია. ამას თავისი მიზეზები აქვს. ჩვენ მრავალგზის ვახსენეთ ზღვარი, რომელიც მწერალმა არ უნდა გადალახოს ისტორიული რომანის წერისას. ამ უკანასკნელ რომანში კი ეს ზღვარი დარღვეულია- დარღვეულია ისტორიული სინამდვილისა და მხატვრული გამონაგონის თანაფარდობა. მიმაჩნია, რომ სწორედ ეს არის მიზეზი მისი ნაკლებად პოპულარობისა.

„ლაშარელა“ ძლიერი საქართველოს დაისია, სწორედ ამ ნაწარმოებშია აღწერილი ძლიერი საქართველოს მზის ჩასვლის დასაწყისი, რომელიც შემდგომ „დიდ ღამეში“ გრძელდება. გრიგოლ აბაშიძეს საჭიროდ მიაჩნდა ოპტიმისტური დასასრული ამ ტრილოგიისა, სწორედ ასეთი დასასრულია „ცოტნე, ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება“. გრიგოლ აბაშიძემ თავისი რომანით გვითხრა, რომ ცოტნეს გმირობა მხოლოდ

ერთი თაობის ამაღლება კი არ არის, არამედ ფენიქსისებური აღდგენაა დაცემული საქართველოსი.

დასკვნა

ქართული ისტორიული რომანის განვითარებაში გრიგოლ აბაშიძეს რომ დიდი წვლილი მიუძღვის, ნაწარმოებები: „ლაშარელა“, „დიდი ღამე“ და „ცოტნე, ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება“ გვიდასტურებენ.როდესაც მათ ვკითხულობთ, ვგრძნობთ, რომ საქართველოს ისტორიის დიდი სიყვარულით არიან ისინი დაწერილნი. ავტორი ცდილობს გააცოცხლოს წარსული, ახალი სიცოცხლე შესძინოს მას. ისტორია რომ შთამომავლობისთვის გაკვეთილია, არახალია. იმ პერიოდში, როდესაც გრიგოლ აბაშიძე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, ურწმუნო და უარმყოფელობის ატმოსფერო შეიქმნა გარდასული მოვლენებისადმი. მწერლის მიზანი გახლდათ ისტორიულ რომანთა ტრილოგიით ქართველი ხალხი გამოეფხიზლებინა, წაექეზებინა ერი თვითშეგნების ჩამოყალიბებისა და ახალი აღორძინებისთვის, რომელიც იმ დროისათვის სასიცოცხლო იყო,თავისი წვლილი შეეტანა. ისტორიას ორი მხარე აქვს, დადებითი და უარყოფითი. ეს კანონზომიერებაა. გრიგოლ აბაშიძემ ეს იცის და არ ცდილობს მხოლოდ დადებითით შემოიფარგლოს, უარყოფითსაც დაუფარავად გადმოშლის იმ იმედით, რომ ასეთი რამ აღარ განმეორდეს საქართველოს ისტორიაში.

ჩვენი ნაშრომის მიზანი გახლდათ, წარმოგვეჩინა, თუ რამდენად იცავს ზღვარს გრიგოლ აბაშიძე ისტორიულ სინამდვილესა და მხატვრულ გამონაგონს შორის. მწერალი, მიუხედავად გარკვეული ხარვეზებისა, ფლობს ისტორიული რომანის წერის ტექნიკას. იგი თავის სამივე რომანში ცდილობს დაიცვას ეს ზღვარი. მისი ნაწარმოებებით ნამდვილად გვექმნება წარმოდგენა XII- XIII საუკუნეების საქართველოზე, მაგრამ, ამავე დროს, ეს მხოლოდ მშრალი ფაქტები არ არის. ავტორი მხატვრული ტექსტის წერის ოსტატობას

ამჟღავნებს.გვერდს ვერ ავუვლით იმას, რომ მწერალს ისტორიის კანონზომიერებათა ღრმა ანალიზი ახასიათებს. მისი ნაწარმოებებიდან იგრძნობა ის, რომ იგი სწვდება ეპოქათა მონაცვლეობის შინაგან პროცესებს. ეს ყველაფერი, მეტ-ნაკლებად სამივე რომანშია დაცული.

ნაშრომში შევეცადე სამივე რომანი განმეხილა შესასწავლი საკითხის კუთხით. პირველი თავი ეძღვნება „ლაშარელას“. გრიგოლ აბაშიძე ეყრდნობა ქართველ მემატიანეებს (ჟამთააღმწერელი და ლაშა -გიორგის დროინდელი მემატიანე). რომანის ძირითადი მაგისტრალური ხაზი სწორედ ამ მატიანეებზე დაფუძნებით არის დაწერილი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მათ მსგავსად მხოლოდ მშრალი ფაქტებისა და მოვლენების გადმოცემით არ შემოიფარგლება მწერალი. მემატიანეთა აღწერილ ეპოქას, სამეფო კარს, მეფეს, დიდებულებს, ვეზირებს ახალი სიცოცხლე მიანიჭა გრიგოლ აბაშიძემ, ისინი აამოძრავა,წინააღმდეგობებითა და სიცოცხლით სავსენი გახადა. იმდენად რეალისტური ფერებით დაგვიხატა, რომ ხშირად გვიჭირს განსაზღვრა სად გადის ზღვარი ისტორიულ სინამდვილესა და მხატვრულ გამონაგონს შორის. ვკითხულობთ „ლაშარელას“ და, ერთი მხრივ, სრულ და შეულამაზებელ ინფორმაციას ვიღებთ იმ პერიოდის საქართველოს შესახებ, მეორე მხრივ- კი მშვენიერი მხატვრული ტექსტებით ვტკბებით.

ტრილოგიის მეორე რომანი არის „დიდი ღამე“. შესაბამისად, ჩვენი ნაშრომიც ქრონოლოგიურად მას მიჰყვება და მეორე თავიც სწორედ ამ რომანს ეხება. შინაარსობრივი თვალსაზრისით, „დიდი ღამე“ გაგრძელებას წარმოადგენს „ლაშარელასი“. მწერალი აქაც იცავს ზღვარს ისტორიულ სინამდვილესა და მხატვრულ გამონაგონს შორის. მე-13 საუკუნის დასაწყისის საქართველოს პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების შესახებ ამომწურავსა და სრულყოფილს თუ არა, გარკვეული სახის ინფორმაციას მაინც ვიღებთ. გრიგოლ აბაშიძისთვის ამ რომანის წერისასაც ჟამთააღმწერელი გახლდათ მთავარი ინსპირატორი. განსხვავებით „ლაშარელასაგან“, „დიდ ღამეში“ უფრო მეტი გამოგონილი პერსონაჟი გვხვდება. თუმცა, ისინი იმდენად რეალურნიი არიან, რომ გვიჭირს დაჯერება მათი ისტორიულად არ არსებობისა. ეს კი მხოლოდ მხატვრული სიტყვის დიდოსტატს თუ შეუძლია!

მესამე თავი დავუთმეთ ტრილოგიის ბოლო რომანს. „ცოტნე, ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება“ ის ნაწარმოებია, რომელზეც აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. მკვლევართა ერთ ნაწილს იგი მხატვრულ მარცხად მიაჩნია. ისინი მწერალს უსაყვედურებენ იმას, რომ ცოტნე დადიანი რომანტიკულ გმირადაა გამოყვანილი. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს „ლაშარელას“ „თავზე გამართული აუტოდაფე“, სადაც გრიგოლ აბაშიძეს იმას უსაყვედურებდნენ, რომ ლაშა- გიორგის ზოგიერთი უარყოფითი თვისება არ დამალა. წარმოვიდგინოთ, რა მოხდებოდა, ცოტნე დადიანზე დადებითის გარდა რომ ეთქვა რაიმე მწერალს! აქვე, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ის, რომ ზღვარი, რომელიც ხშირად ვახსენე წინა ორ რომანში, აქ ზოგჯერ ირღვევა. ავტორს ხან ისტორია იტაცებს და მის პერიპეტიებში ეშვება ხოლმე, ხან კიდევ- მხატვრული გამონაგონი. ეს ნაწარმოები ზედმეტად პატრიოტული სულისკვეთებით მეტისმეტადაა გაჟღენთილი, თუმცა ამას თავის მიზანი აქვს. მწერალს სურს ქართველ ხალხს მიძინებული ეროვნული თვითშეგნება გაუღვიძოს.

გრიგოლ აბაშიძის სამივე რომანს თავისი დამოუკიდებელი სათქმელი აქვს. მწერალი ისტორიასაც და მხატვრულ გამონაგონსაც იმ დოზით იყენებს, რაც საჭიროა სათქმელის უკეთ გადმოცემისთვის. ზედმეტი მის რომანებში არაფერია. მწერალი იმდენად იყენებს ისტორიასა და მხატვრულ გამონაგონს, რამდენაც ეს არგებს ჩვენი სამშობლოს მომავალსა და კეთილდღეობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბაშიძე გრ. „არყოფნისაკენ“, „ეროვნული მწერლობა“, თბილისი, 2009, 61 გვ.
2. აბაშიძე გრიგოლ, „ლაშარელა“, „დიდი ღამე“, „საბჭოთა საქართველო“,თბილისი, 1965, 671 გვ. ;
3. აბაშიძე გრიგოლ, „ცოტნე“, „ყორნალი“, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1982, 776 გვ. ;
4. აბაშიძე გრიგოლ, „მოგონებები, წერილები“, „პეგასი“, თბილისი, 2009, 160 გვ. ;
5. ბაქრაძე აკაკი, „ისტორია და რომანი“, „მნათობი“, N 6, 1976;
6. ინაური ვახტანგ, „ჯავახეთი და კოხტასთავის შეთქმულება გრიგოლ აბაშიძის რომანებში“, გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“, თებერვალი, 2002;
7. ნატროშვილი თამაზ, „ჩვენებური აუტოდაფე“, „ჩვენი მწერლობა“,N 20, 2010;
8. „ქართლის ცხოვრება“, ტომი I, „სახელგამი“, თბილისი, 1955, 463 გვ.;
9. „ქართლის ცხოვრება“, ტომი II, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1959, 707 გვ.;
10. ჩხეიძე როსტომ, „დარდი ფარული“, „ჩვენი მწერლობა“, თბილისი, 2013, 136 გვ.;
11. ცაიშვილი სარგის, „ქართული მწერლობა- წერილები, ნარკვევები, ესეები“, „მერანი“, თბილისი, 1990, 511 გვ. ;
12. ჯავახიშვილი ივანე, „ქართველი ერის ისტორია“, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1966, 528 გვ. ;

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

Master's Degree: Georgian Literature

KhijakadzeLika

Historical Realities and Fictional Invention

In Grigol Abashidze's Novels

MA Thesis

Supervisor: Dr. RusudanNishnianidze

Doctor of Philology, Associate Professor at the Tbilisi State University

Tbilisi

2019

Annotation

Among Georgian writers of the 20th century Grigol Abashidze is one of the most decorated. Abashidze is famous for his diverse, capturing and profound writing style. His talent lies in his mastering of Georgian historical novels. Abashidze's works such as "*Lasharela*", "Long Night","Tsotne – Rise and Fall of Georgians" are based on the writings of two historians: *Zhamtaaghmtsereli* and *Chronicler for Lasha-Giorgi*. The three novels illustrate Abashidze techniqueas he follows the path of the historians and develops fantasy around historical realities of the past. He has deep knowledge of Georgian history and tries to blend it with the present.

As a rule, historical novels cross a path between the truth and fictional world. The research below aims to study to what degree does the author rely on historical events and facts, to what extend he draws from the past times, the epoch, thronesor heroes and whether he uses fictional altering and invention. All of Abashidze's novels offer a fine line between the two. He draws strict boundaries: neither does he dive deep into historical peripheries nor does he cross over to fantasy. His writings offer a reader healthy struggle between a historian and writer.

My interest in the subject stems from the lack of the research around the question. And while it has attracted some attention among the researchers, the questionis not yet thoroughly examined. Major pieces are missing and the study below is trying to find and connect those elements. The paper tries to contrast "The Georgian Chronicles" ("Kartlis Tskhovreba") and the works that it collects: "Zhamtaghmtsereli" and "Chronicler for Lasha-Giorgi" with the works of Abashidze in an attempt to answer the question and lay groundwork for future research